თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ც. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
16 ნოემბერი
1940 წ.
№ 266 (5967)
ფასი 10 კაპ.

უზრუნველვყოთ ბოლშევიკური კონტროლი და შესრულების შემოწმება

მეხუთე თვეა, რაც მოქმედებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება. ამ ბრძანებულებამ ახალი ფურცელი გადაშალა ჩვენი დიადი, სოციალისტური სამშობლოს აყვავებასა და მისი ძლიერების ზრდაში. სამრეწველო გიგანტებში, ფაბრიკა-ქარხნებში, მაღაროებსა და დაწესებულებებში განმტკიცდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, უმაგალითოდ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

26 ივნისის ბრძანებულებამ მახვილი ჩასცა შრომის დეზორგანიზატორებს, ფრენიებს, ცუღლუტებსა და უქნარებს, კიდევ უფრო წინ წამოსწია და დააფასა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, სოციალისტური შრომის სახელოვანი ოსტატები, წარმოების ნოვატორები, რომელთა თავდადებული შრომა ჩაყენებულია ჩვენი ქვეყნის ნამდვილ სამსახურში.

და განსაკუთრებით იქ, სადაც ფაბრიკის, ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ შესძლო წარმოების ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლი მთლიანად დაექვემდებარებინა 26 ივნისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესასრულებლად ბრძოლისათვის, მუშაობა მოეწყო ახლებურად, წარმატებანი საწარმოო ფრონტზე უაღრესად თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი გახდა. განვითარდა და გაიფურჩქნა ახლის გრძნობა, ბოლშევიკის ეს ძვირფასი თვისება. განა ამის საუკეთესო ილუსტრაცია არ არის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კომუნისტის, ორდენოსანი ინჟინრის ამხ. გრ. ვეფხვაძის მაგალითი, რომელიც ღუმელში ამონაგის გაკეთების წესის შეცვლით ქარხანას წლიურად 120.510 მანეთის ეკონომიას აძლევს? განა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს არ გვიჩვენებს ჭიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროს სტახანოველი კომუნისტი ამხ. ქ. ღავთაძე, რომელიც საწარმოო დავალებას 210 პროცენტით ასრულებს? და ასეთი კომუნისტები, რომლებიც იძლევიან სახელმწიფოებრივი და შრომითი დისციპლინის დაცვის საუკეთესო ნიმუშებს, ცოტანი როდი არიან.

მაგრამ ჯერ კიდევ არის ისეთი ფაქტებიც, რომ ზოგიერთი კომუნისტი არ ასრულებს საწესდებო მოთხოვნას, ვერ ახორციელებს წარმოებაში ავანგარდულ როლს. ეს განსაკუთრებით მკვეთრად მოსჩანს იქ, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად იბრძვის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულებისათვის, არასაკმაოდ ახორციელებს კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობაზე და სათანადო ყურადღებას არ აქცევს შესრულების ბოლშევიკურ შემოწმებას.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: თბილისის კიროვის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არასაკმაოდ იბრძვის 26 ივნისის ბრძანებულების განხორციელებისათვის. აქ სექტემბერში ადგილი ჰქონდა სამუშაოზე დაგვიანების 32 და სამუშაოს გაცდენის 12 შემთხვევას. ოქტომბრის პირველ ნახევარში სამუშაო გააცდინა 8 კაცმა, ხოლო დაიგვიანა 52 კაცმა. პარტიულმა ორგანიზაციამ შრომის დისციპლინის საკითხი რამდენჯერმე განიხილა, მაგრამ, როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტი მოწმობს, ამას შედეგი არ მოუცია. რით უნდა ავხსნათ ეს? იმით, რომ ამ განხილვას ფორმალური ხასიათი აქვს, ყურადღება არ ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას.

პარტიული კონტროლი და დადგენილებათა შესრულების შემოწმება ძალიან ცუდად არის დაყენებული თბილისის საგალანტერიო ფაბრიკა „კომსომოლკას“ პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი — ამხ. მ. ხურცია). მართალია, აქ პარტორგანიზაციამ კრებაზე რამდენჯერმე განიხილა შრომის დისციპლინის საკითხი, გამოიტანა დადგენილებანი, მაგრამ დასახულ ღონისძიებათა გატარებაზე არავის უზრუნია. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აქ შრომის დისციპლინის დარღვევები დღემდე გრძელდება. პარტორგანიზაცია თავს არიდებს ბრძანებულების განხორციელების ნამდვილ ხელმძღვანელობას, ივიწყებს სტალინური ცენტრალური კომიტეტის მითითებას.

სტალინური ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ მუშაობა, რათა განამტკიცონ ერთმმართველობა, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საწარმოს ხელმძღვანელის ავტორიტეტის ამაღლებას. არის იმის ფაქტები, რომ ერთმმართველობა ირღვევა და მახინჯდება. როცა ზოგიერთი პარტორგანიზაცია ზომაზე მეტად გატაცებული სამეურნეო საქმიანობით აუპიროვნებს წარმოების ხელმძღვანელს, ეს ერთმმართველობას ეწინააღმდეგება. ამით პარტბიურო უსათუოდ არღვევს ერთმმართველობის პრინციპს, ავტორიტეტს ულახავს წარმოების ხელმძღვანელს, დირექტორს, რომელიც ყველა თავისი განკარგულებისათვის პირადად აგებს პასუხს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში გაურკვეველია, ვინ ხელმძღვანელობს ქარხანას — დირექტორი თუ პარტბიუროს მდივანი.

პარტიული ორგანიზაცია მოვალეა აამაღლოს სამეურნეო მუშაკის, წარმოების სრულუფლებიანი მეთაურის ავტორიტეტი, დაეხმაროს წარმოების დირექტორს იმ შემაფერხებელი გარემოების აღმოფხვრაში, რომელიც ხელს უშლის 26 ივნისის ბრძანებულების განხორციელებას, რკინისებური დისციპლინის დამყარებას.

ამიტომ პარტიული ორგანიზაციები, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, უნდა „დაეუფლონ სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობის ბოლშევიკურ მეთოდს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სისტემატური დახმარება გავუწიოთ ამ ორგანოებს, სისტემატურად განვამტკიცოთ ისინი და ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას არა ამ ორგანოების გარეშე, არამედ მათი საშუალებით“.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პარტიული ორგანიზაციები ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას, ყური დაუგდონ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა სიგნალებს, მათს შენიშვნებს, საფუძვლიანად გაერკვნენ საქმის ვითარებაში და მოფიქრებული, საქმიანი და დასაბუთებული წინადადებანი დააყენონ ადმინისტრაციის წინაშე. ეს უსათუოდ საჭიროა. უამისოდ ადმინისტრაციის საქმიანობაზე პარტიული კონტროლი ფორმალური და უნაყოფო იქნება.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ შესრულების შემოწმება ბოლშევიკური ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ „შესრულების შემოწმება—სწერდა ამასწინათ „პრავდა“, — ზრდის ჩვენს კადრებს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის უაღრესად ზუსტად დაცვის სულისკვეთებით, უზრუნველჰყოფს პარტიული დირექტივების ზუსტად გატარებას ცხოვრებაში“. პარტორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ პარტიულ კრებებზე, პლენუმებსა და კონფერენციებზე გამოტანილ დადგენილებათა სისტემატური შემოწმება და ამით უზრუნველჰყონ 26 ივნისის ბრძანებულების მტკიცედ განხორციელება, რაც ჩვენი დიადი ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების ზრდის უტყუარი საწინდარია.

საქდესის ცნობა

იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს: „დიპლომატიურ წრეებში იუწყებიან, რომ იაპონიამ მიაღწია საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას, რომელიც განსაზღვრავს შორეულ აღმოსავლეთში გავლენის სფეროებს და ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის მხრივ ჩუნცინისათვის დახმარების შეწყვეტას“.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება.

საქდესის ცნობა

გაზეთმა „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამმა“ გამოაქვეყნა ცნობა სკრიპს ჰოვარდის საგაზეთო ტრესტის უცხოეთის განყოფილების რედაქტორ სიმსისა, რომელიც ამტკიცებს, ვითომც იაპონიის მოსკოველმა ელჩმა ტატეკავამ საბჭოთა კავშირს შესთავაზა „მთელი ბრიტანეთის ინდოეთი ან მისი ნაწილი, უკეთუ საბჭოთა კავშირი სამ სახელმწიფოს კოალიციას შეუერთდება“, აგრეთვე ვითომც წინადადებით მიჰმართა „დაუთმოს იაპონიას აღმოსავლეთ ციმბირი“.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობა უზრობაა და სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს.

18 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში შესდგება ქართლის რაიონების რაიგაზეთების რედაქტორთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კედლის გაზეთების რედაქტორთა თათბირი.

დღის წესრიგი:

საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წ. 15 ოქტომბრის დადგენილება და პრესის ამოცანები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.
გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია.

საბჭოთა სომხეთის 20 წლისთავის წინ

ერევანი, 14 ნოემბერი (საქდესი). მშრომელები დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან საბჭოთა სომხეთის 20 წლისთავისათვის, რაც 24 ნოემბერს იქნება აღნიშნული. მთელი დღე-ღამის განმავლობაში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ლენინის ძეგლის ასაგებად. მხატვრულად აფორმებენ კიროვის სახელობის სკვერს, სდგამენ ობელისკს წითელი არმიის პატივსაცემად.

ისტორიულ მუზეუმში გაიხსნება დიდი საიუბილეო გამოფენა. ექსპონატები ახასიათებენ სომხეთის სს რესპუბლიკის მიერ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში მიღწეულ წარმატებებს, სომეხი ხალხის ისტორიას უძველესი დროიდან.

ძვირფასი გამოგონება

ინჟინერმა მამედ-ზადე ალი ჰაიდარმა ორიგინალური კონსტრუქციის საბურღი აგრეგატი დაამზადა. ამ მანქანის დანერგვას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. სედინმა მამედზადე დააჯილდოვა „სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულის“ ნიშნით და ფულადი პრემიით.

ამ ნიშნით დაჯილდოვებულია აგრეთვე მუშაკთა ჯგუფი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალი აგრეგატის დაპროექტებისა და ათვისების საქმეში. დაჯილდოვებულთა შორის არიან: ბაქოს შმიდტის სახელობის ქარხნის ტექნიკური განყოფილების ჯგუფის ხელმძღვანელი ადამსკი, აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობის ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი არენსონი, ქარხანა „ბაკინსკი რაბოჩის“ შემკრები საამქროს ოსტატი ტინიაევი.

საბურღი მანქანის დაპროექტებისა და ათვისების მონაწილეთა მეორე ჯგუფი დაჯილდოვებულია ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქებითი ფურცლით. დაჯილდოვებულთა შორის არიან — შმიდტის სახელობის ქარხნის მთავარი ინჟინერი ეფენდიევი, ლენინის სახელობის ქარხნის მექანიკური საამქროს ცვლის უფროსი აირაპეტოვი, ამავე ქარხნის დირექტორი ამხ. არზუმანოვი და სხვ. (საქდესი).

მოკავშირე რესპუბლიკებში რევოლუციური მოძრაობისადმი მიძღვნილი მეცნიერული ნაშრომი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა დაამთავრა იმ მასალათა კრებულის შედგენა, რომლებიც მიძღვნილია უკრაინასა, ბელორუსიასა, საქართველოსა, აზერბაიჯანსა, სომხეთსა და შუა აზიის რესპუბლიკებში 1905-1907 წლების რევოლუციური მოძრაობისადმი.

კრებული გამოდის აკადემიკოს ემ. იაროსლავსკის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების პანკრატოვასა და შესტაკოვის, პროფესორ სიდოროვის და ჩერნომორდიკის რედაქციით. (საქდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. იაკობ ერმილეს-ძე **ჩადაევი** დანიშნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველად და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობიდან გაათავისუფლა ამხ. მიხეილ დიმიტრის-ძე **ხლომოვი.** (საქდესი).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის დეპეშა გერმანიის რაიხსკანცლერის ბ. ჰიტლერისადმი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის საზღვრიდან გაუგზავნა ბ-ნ ჰიტლერს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„გერმანიის რაიხსკანცლერს ბატონ ჰიტლერს. ბერლინი.

ვტოვებ რა გერმანიის ფარგლებს, გთხოვთ თქვენ, ბატონო რაიხსკანცლერო, მიიღოთ მადლობა იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მე გამიმართეს გერმანიაში.

მოლოტოვი. მალკინი, 1940 წლის 14 ნოემბერი“.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის დეპეშა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. ფონ რიბენტროპისადმი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის საზღვრიდან გაუგზავნა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ ფონ რიბენტროპს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„საგარეო საქმეთა რაიხსმინისტრს, მის აღმატებულებას ბატონ ფონ რიბენტროპს. ბერლინი.

კეთილ ინებეთ მიიღოთ, ბატონო რაიხსმინისტრო, ჩემი გულწრფელი მადლობა იმ უხვი და გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მე და ჩემს თანამგზავრებს გაგვიმართეს გერმანიაში ყოფნის ღირსსახსოვარ დღეებში.

მოლოტოვი. მალკინი, 1940 წლის 14 ნოემბერი“.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ მიიღო ოდესელთა გამოწვევა

13 ნოემბერს თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის სტახანოველი მუშა-ქალის ამხ. ა. ლეკიშვილის მიერ ოდესის სტალინის სახელობის მაუდის ფაბრიკის დათვალიერებასთან დაკავშირებით, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ მიიღო დეპეშა, რომ მის კოლექტივს სოცშეჯიბრებაში იწვევს ოდესის ფაბრიკის კოლექტივი.

ეს საკითხი დამუშავებულ იქნა ფაბრიკის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებებზე საამქროებისა და ცვლების მიხედვით; ოდესელთა გამოწვევამ უდიდესი აღფრთოვანება და საერთო მოწონება გამოიწვია თბილისელ მემაუდეებში.

თბილისის ფაბრიკის კოლექტივის სახელით ოდესაში გაიგზავნა თანხმობის დეპეშა, რომ გამოწვევას იღებენ და მოელიან წარმომადგენლებს სოცშეჯიბრების ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ზესტაფონელი ფერომდნობელები იწვევენ ზაპოროჟელებს

უკრაინისა და საქართველოს ხალხების მჭიდრო მეგობრობის აღსანიშნავად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი სოცშეჯიბრებაში იწვევს ზაპოროჟიეს ფერომდნობელებს ფეროსილიციუმის გამოშვების წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ფეროსილიციუმის საამქრომ, რომელიც მანამდე ჩამორჩებოდა შენადნობის გამოშვებაში, შესამჩნევად გაზარდა პროდუქციის გამოშვება, ოქტომბრის გეგმა შეასრულა 111 პროცენტით, ხოლო ნოემბრის ათი დღისა — 110 პროცენტით.

აღებული ტემპები ჰქმნიან იმის მტკიცე რწმენას, რომ წინა პერიოდის დავალიანება მთლიანად დაიფარება და წლიური გეგმა შესრულებულ იქნება ვადამდე 15 დღით ადრე.

მთავარი ინჟინერი მელაძე
პარტბიუროს მდივანი მესხი
ქარხკომი ხუციშვილი
სადნობი საამქროს უფროსი მაღლაკელიძე
კომკავშირის კომიტეტის მდივანი მაღლაკელიძე

პირუტყვის მრავალნაყოფიერება

აკადემიკოს მ. მ. ზავადოვსკის მეთოდების ფართოდ გამოყენება

ხუთი წელია, რაც საბჭოთა მეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს საწარმოო ცდები ცხვრის მრავალნაყოფიერების გასადიდებლად. გაზაფხულზე ბატკანი მოიგო 22 ათასმა დედა-ცხვარმა, რომლებსაც დაგრილების წინ შრატი შეუშხაპუნეს. ამის შედეგად ყოველ 100 დედა-ცხვარზე საშუალოდ მიღებულია 50-მდე დამატებითი ბატკანი. ცხვარი ჩვეულებრივ ერთ, და იშვიათად, ორ ბატკანს იგებს. ამის ნაცვლად ინიექციის (შეშხაპუნების) დროს ცხვარი, როგორც წესი, ორს, ზოგჯერ სამს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — ხუთ და ექვს ბატკანსაც კი იგებს.

მიმდინარე შემოდგომაზე ეს ცდები კიდევ უფრო ფართო მასშტაბით ჩატარდება. სსრ კავშირის მიწსახკომის, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის „სოიუზპუშნინის“ მეურნეობებში საშემოდგომო დაგრილების კამპანიის დროს ცხვრის მრავალნაყოფიერების სტიმულაციის მეთოდი 400 ათას დედა-ცხვარზე ტარდება.

პირუტყვის მრავალნაყოფიერების გადიდების მეთოდის ავტორი აკადემიკოსი მ. მ. ზავადოვსკი ამ დღეებში დაბრუნდა შუა აზიიდან, სადაც იგი ამ სამუშაოს ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. ამხ. ზავადოვსკიმ საქდესის თანამშრომელს აცნობა:

— მრავალნაყოფიერების საკითხის გადაჭრის დროს თეორიულად იმით ვხელმძღვანელობდით, რომ ბატკანი კვერცხისაგან ვითარდება. მაშასადამე, საჭიროა იმ კვერცხების რაოდენობის გადიდება, რომლებიც ცხვრის საკვერცხეში მწიფდება. წინათ ფიქრობდნენ, რომ ამის მიღწევა ნაწილობრივ კვებით შეიძლება; ჩვენ კი ყურადღება მივაქციეთ იმ ნივთიერებას, რომელიც თვით ორგანიზმში მუშავდება. კვერცხის დამწიფების სტიმულატორად ყველაზე ეფექტიური აღმოჩნდა მაკე ჭაკის სისხლისაგან დამზადებული შრატი.

ცხოველთა განვითარების ფიზიოლოგიის ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელიც მე ვარ, და ზოგიერთი სხვა სამეცნიერო დაწესებულება ამ მეთოდს სხვა პირუტყვის მიმართაც იყენებს. საბჭოთა მეურნეობა „კრასნაია პოიმა“ (მოსკოვის ოლქი) ძროხებისათვის შრატის შეშხაპუნების შედეგად სამი ძროხისაგან სამ-სამი ხბო მიიღეთ, ერთმა კი ოთხი ხბო მოგვცა. დღის წესრიგში დგას ღორისა და ბეწვიანი მხეცის, კერძოდ, ჯილაოს მრავალნაყოფიერების გადიდება.

მეცხვარეობაშიაც დიდ მუშაობას ვეწევით დოლის ვადის შესამცირებლად. როგორც ცნობილია, ცხვარი ნამატს წელიწადში ერთხელ იძლევა, თუმცა მისი მაკეობის პერიოდი სულ ხუთ თვეს გრძელდება. ჩვენი ამოცანაა ყოველწლიურად მივიღოთ ცხვრისაგან ორი მრავალნაყოფიერი დოლი.

თანამედროვე ზოოტექნიკური მეცნიერების მიღწევების ფართოდ დანერგვა დახმარებას გაუწევს ჩვენს სოფლის მეურნეობას იმ მხრივ, რომ დააჩქაროს სულადობის აღდგენა და გაადიდოს მეცხოველეობის პროდუქციულობა. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 15 ნოემბერი (საქდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ იმის შემდეგ, რაც გერმანელებმა მასობრივი საჰაერო თავდასხმა დაიწყეს, 14 ნოემბერს ღამით, გერმანიის ავიაციის მოქმედება პირველად იყო მიმართული უმთავრესად ცენტრალური ინგლისის წინააღმდეგ. გერმანელებმა ინტენსიური იერიში მიიტანეს ცენტრალური ინგლისის ერთერთ ქალაქზე, სადაც ბევრგან ხანძარი გაჩნდა და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი გამოიწვია. ცენტრალური ინგლისის სხვა ქალაქებზე თავდასხმამ ზარალი მიაყენა მაღაზიებსა და საცხოვრებელ შენობებს. ადამიანთა მსხვერპლი დიდი არ არის. ღამის განმავლობაში რამდენჯერმე დაესხნენ თავს ლონდონის რაიონს. დანგრეულია რამდენიმე საცხოვრებელი და სხვა შენობა. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დააყარეს ინგლისისა და ჩრდილოეთ უელსის რამდენიმე სხვა რაიონსაც.

გუშინ გერმანიის 40-ზე მეტი მოპიკირე ყუმბარმშენი თავს დაესხა დუვრს. ინგლისის 20 ავიაგამანადგურებელმა ბრძოლა გაუმართა მტრის ყუმბარმშენებს, რომლებიც გერმანიის დიდძალი ავიაგამანადგურებლების თანხლებით დაფრინავდნენ. ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა მტრის 15 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. სულ გუშინდელი დღის განმავლობაში ჩამოგდებულია მტრის 19 თვითმფრინავი.

ინგლისის ორი ავიაგამანადგურებელი დაიღუპა.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 14 ნოემბერს ღამით ინგლისის ავიაციამ კვლავ ძლიერ დაუშინა ყუმბარები ბერლინის სამხედრო ობიექტებს. გარდა ამისა, ინგლისის ესკადრილიები თავს დაესხნენ გერმანიის სხვადასხვა რაიონების სამრეწველო საწარმოებს და აგრეთვე აეროდრომებს გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

ომი საბერძნეთსა და იტალიას შორის

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ბერძნებმა საერთო შეტევა დაიწყეს მთელს ალბანეთის საზღვარზე. იტალიელები მდინარე კალამასის გაღმა უკუიქცნენ რამდენიმე ადგილას. ბერძნების შეტევაში მონაწილეობას იღებს ქვეითი ჯარი, კავალერია, საბერძნეთისა და ინგლისის თვითმფრინავები, სამთო არტილერია და ტანკები.

საბერძნეთის კავალერიამ იერიში მიიტანა იტალიელებზე იანინის ჩრდილოეთ-დასავლეთით. იტალიელებმა უკან დაიხიეს თავდაცვის პირველი ხაზიდან. საბერძნეთის სამთო ჯარმა ხელთ იგდო სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მაღლობი 4.500 ფუტი სიმაღლისა.

იტალიელებმა დიდძალი ჯარი გამოიყვანეს ფრონტზე და ცდილობენ შეაჩერონ ბერძნების წინწაწევა ალბანეთის სამხრეთ ნაწილში. მეთვალყურენი ფიქრობენ, რომ იტალიელები შეტევიდან თავდაცვაზე გადავიდნენ. ინგლისისა და საბერძნეთის თვითმფრინავების მიერ იტალიისა და ალბანეთის ნავსადგურების ბომბარდირებამ ხელი შეუშალა იტალიიდან მაშველი ძალების მიღებას. იანინიდან მიღებული ცნობებით, ბერძნები წინსვლას განაგრძობენ ალბანეთის ტერიტორიაზე.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ 13 ნოემბერს იტალიის თვითმფრინავი შეეცადა ყუმბარა დაეშინა ინგლისის სამხედრო ხომალდისათვის სალონიკის ნავსადგურში. 13 ნოემბერს ინგლისის თვითმფრინავებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარა დურაცოსა და ვალონას. დაზიანებულია საწყობები.

საზღვრიდან მიღებული ცნობებით, საბერძნეთისა და იტალიის ჯარებს შორის ძლიერი საარტილერიო დუელი გრძელდება, რაც 13 ნოემბერს საღამოს დაიწყო. საბერძნეთის არტილერია კორიცას უშენს, სადაც ამას წინათ ჩავიდნენ იტალიის მაშველი ძალები. მთებში იტალიის ბატარიები ბერძნების პოზიციებს უშენენ.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა კოვენტრიზე

ლონდონი, 15 ნოემბერი (საქდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 14 ნოემბერს ღამით გერმანიის ავიაციამ გაძლიერებით დაუშინა ყუმბარები კოვენტრის (ცენტრალური ინგლისი). ქალაქი ძლიერ დაზიანდა. წინასწარი ცნობებით, მსხვერპლი ათას კაცს აღწევს. ბევრგან ხანძარი გაჩნდა. თავდასხმის დროს ჩამოგდებულია გერმანიის ორი თვითმფრინავი მაინც (კოვენტრი არის რკინიგზის კვანძი, ინგლისის საავტომობილო, საავიაციო და საავიამოტორო მრეწველობის ერთერთი უდიდესი ცენტრი, საველოსიპედო მრეწველობის ცენტრი).

საქართველოს დელეგაცია უკრაინაში

კიევი, 15 ნოემბერი (საქდესი). 13 ნოემბერს პარტიზანის სადგურზე გენიჩესკის რაიონის სამი ათასმა კოლმეურნემ მოიყარა თავი. მუსიკითა და ცოცხალი ყვავილების თაიგულებით მოვიდნენ ისინი მზიური საქართველოდან ჩამოსული ძვირფასი სტუმრების — მახარაძის რაიონის კოლმეურნეების შესახვედრად. გენიჩესკისა და მახარაძის რაიონების კოლმეურნეები ორი მოძმე რესპუბლიკის მშრომელებს შორის შესანიშნავი შეჯიბრების ინიციატორები არიან: განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ ერთმანეთს სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ორაგველიძე და გენიჩესკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ამ რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ამხ. კლიმენკო.

მათ ერთმანეთი გაიცნეს რამდენიმე წლის წინათ, როცა უკრაინელი კოლმეურნეები ესტუმრნენ საქართველოს კოლმეურნეებს. დღეს ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, როგორც ძველი მეგობრები. სადგურზე გაიმართა მიტინგი, სტუმრებს მიესალმა ამხ. კლიმენკო. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. ხოშოლავა. დელეგატები რაიონში გაემგზავრნენ.

○

13 ნოემბერს, დღისით, ამხ. ლეკიშვილმა დაათვალიერა ოდესის სტალინის სახელობის მაუდის ფაბრიკა, ამ დღეს ოდესის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ამ ფაბრიკის კოლექტივის მიმართვა თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის მუშაკებისადმი, სადაც ისინი წინადადებას იძლევიან დადებულ იქნას სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. ამხ. ლეკიშვილი დაწვრილებით გაეცნო წარმოებას. მან აღუთქვა, რომ შეჯიბრების პირობებს გააცნობს თავის ამხანაგებს თბილისში და შეჯიბრების ინდივიდუალური ხელშეკრულება დასდო მრთველ ქალთან ამხ. ობოიკოსთან.

○

გულმხურვალედ შეხვდნენ საქართველოს დელეგატებს დნეპროძერჟინსკის მშრომელნი. სტუმრებს მიესალმა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. სიდორინი, რომელმაც უამბო, თუ როგორ გამოიცვალა ქალაქი და გიგანტი - ქარხანა, რომელიც ფელიქს ძერჟინსკის სახელს ატარებს. ქარხანამ აღტაცებაში მოიყვანა დელეგატები.

○

კიევში უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში 13 ნოემბერს გაიმართა ქართული ლიტერატურული შემოქმედების საღამო. აქ მწერლებმა ა. მაშაშვილმა და კ. ლორთქიფანიძემ წაიკითხეს ნაწყვეტები თავიანთ ნაწარმოებებიდან. უკრაინელმა მწერლებმა და პოეტებმა ბაჟანმა, ფეფერმა, პანჩმა, რილსკიმ, ფომინმა, გოროცკიომ, დიმიტერნკომ, გოფშტეინმა, უშაკოვმა, ნოვიცკიმ, მალიშკომ, გოლოვანივსკიმ და პერვომაისკიმ წაიკითხეს ქართველი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანი უკრაინულ, რუსულ და ებრაულ ენაზე. მწერლებმა კ. ლორთქიფანიძემ და ა. მაშაშვილმა ამ დღეს მიკროფონთან წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებნი. რადიოთივე გადაცემულ იქნა ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებნი. ამხ. მაშაშვილის უკრაინულად თარგმნილი ლექსები წაიკითხა ამხ. პერვომაისკიმ. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა პონომარენკომ წაიკითხა ნაწყვეტი კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებიდან „შეხვედრა“.

○

სტალინო, 14 ნოემბერი (საქდესი). რამდენიმე დღეა, რაც ქართველი ხალხის დელეგატები დონბასში იმყოფებიან. მაკეევკაში სტუმრები შეხვდნენ ცნობილ მებრძმედს, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ამხ. ი. გ. კორობოვს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ამხ. ს. ა. ზასტავოის და სხვა წარჩინებულ სტახანოველებსა და საწარმოთა ხელმძღვანელებს.

განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრა გაუმართეს ქართველ ამხანაგებს ტრესტ „სტალინუგოლის“ პაპანინელთა სახელობის № 17-17 ბის შახტის მაღაროელებმა. სტუმრები ჩავიდნენ შახტში, გაეცნენ № 5 მოწინავე უბნის მუშაობას, რომელმაც ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა.

ზეიმი ტალალაევკაში

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

საქართველოდან ჩამოსული ძვირფასი სტუმრების შესახვედრად ტალალაევკის რაიონის კოლმეურნეები გულმოდგინედ ემზადებოდნენ. სტუმრების ჩამოსვლისათვის რაიონულ ცენტრში მოწყობილ იქნა გამოფენა, რომელიც ასახავდა ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

გამოფენები მოეწყო კოლმეურნეობებშიც. ოქტომბრის რევოლუციის XIV წლისთავის სახელობის კოლმეურნეობაში მოეწყო გამოფენა სახელწოდებით: „რას მივაღწიეთ ჩვენ ორსანტიასთან შეჯიბრებით“.

საქართველოს დელეგაციის ჩამოსვლისას უკრაინის რაიონებში შემოდგომის საუცხოო ამინდი დაიჭირა. მხოლოდ ყამირგზები იყო ძლიერ ატალახებული. ჯერ კიდევ სტუმრების ჩამოსვლამდე კოლმეურნეები გამოვიდნენ სამუშაოდ გზებზე და ისინი სრულ წესრიგში მოიყვანეს.

13 ნოემბერს გავრცელდა ხმა დელეგატების ჩამოსვლის შესახებ. კოლმეურნეობებიდან იწყეს მოსვლა მოპატიჟეებმა. ისინი სთხოვდნენ დელეგატებს მისულიყვნენ მათთან და ენახათ მათი მუშაობა. ვინაიდან ყველგან მისვლის შესაძლებლობა დელეგაციას არ ჰქონდა, გადაწყდა, 14 ნოემბერს მოეწვიათ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, პარტორგანიზაციათა მდივნების და მოწინავე კოლმეურნეთა რაიონული შეკრება.

დელეგაციის ჩამოსვლის დღეს კულტურის რაიონულ სახლში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელზეც გამოვიდნენ მოსწავლეთა, პიონერთა და კოლმეურნეთა ანსამბლები. მღეროდნენ უკრაინულ, რუსულ და ქართულ სიმღერებს. საქართველოს დელეგატებმა ბავშვებს გადასცეს ზუგდიდელი ბავშვების საჩუქრები — მანდარინები და შოკოლადი. ვარლამ ჰიქავამ ტალალაევკელ ბავშვებს გადასცა, რომ ზუგდიდის რაიონის ბავშვები უგზავნიან მათ საჩუქრებს და იწვევენ შეჯიბრებაში, რათა ისწავლონ ფრიადზე. ტალალაევკელი ბავშვების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. — მადლობა დიდ **სტალინს** საამური ცხოვრებისათვის,—იძახდნენ მშობლები. გაისმოდა ლოზუნგები, ჰქუხდა ოვაცია.

14 ნოემბერს დილით დელეგატთა ჯგუფი გაემგზავრა ხუტორ ბერეზოვსკიეს ოქტომბრის XIV წლისთავის სახელობის კოლმეურნეობაში. გზაზე ყველა ხუტორი მორთული იყო დროშებით, ლოზუნგებით. ხუტორ ბერეზოვსკიეს წინ სტუმრებს მოეგებნენ კოლმეურნეები. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ოქტომბრის XIV წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ტროფიმ სავჩენკომ. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. ერანგია.

მიტინგის შემდეგ სტუმრები მიიპატიჟეს გამოფენაზე:—გთხოვთ მობრძანდეთ ქოხშიო. მაგრამ ეს იყო არა ქოხი, არამედ კოლმეურნეობის დიდებული სასახლე, რომელიც საზეიმოდ იყო მორთული. გამოფენის დათვალიერების შემდეგ დელეგატებმა ინახულეს კოლმეურნეობის სხვადასხვა ფერმები. შემდეგ სტუმრები მიიწვიეს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე. ხელშეკრულების პირობათა შესრულების შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ ოქტომბრის XIV წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. სავჩენკო და ორსანტიის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ერანგია. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მოწინავე კოლმეურნეები პარასკა სემუშკო, იარმოში, ტოპჩი და სხვ., რომლებმაც აღიარეს, რომ ორსანტიელები მათზე უკეთესად მუშაობდნენ. მათ დასდეს პირობა, რომ შემდეგში გააუმჯობესებენ მუშაობას და არ ჩამორჩებიან ზუგდიდელებს.

ამ კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეჯიბრება გაგრძელდეს 1941 წელსაც, ამასთან შეჯიბრება გაფორმებულია ბრიგადებს შორის.

გამომგზავრების წინ სტუმრებს გადასცეს საჩუქრები კოლმეურნეებისათვის.

უკან დაბრუნებისას დელეგატები მიიწვიეს ხუტორ სილჩენკოვოს პოლიტგანყოფილების სახელობის კოლმეურნეობაში. აქ შესდგა ორი რესპუბლიკის კოლმეურნეთა ამხანაგური შეხვედრა, რომლის დროსაც გაფორმებულ იქნა შეჯიბრების ხელშეკრულება პოლიტგანყოფილების სახელობის კოლმეურნეობასა და სოფელ ცაიშის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობას შორის. დელეგატებს სიტყვით მიმართა მოხუცმა კოლმეურნემ ნიკიტა ბაშტოვმა: — გთხოვთ არ მითხრათ მოხუცს უარი და მეწვიოთ სახლში პურმარილზე. ბაშტოვის სახლში თავი მოიყარა თითქმის მთელმა ხუტორმა. სტუმრებს გაუმასპინძლდნენ როგორც საყვარელ, მახლობელ ადამიანებს.

დელეგატები მხოლოდ საღამოს დაბრუნდნენ ტალალაევკაში, სადაც 7 საათზე შესდგა შეკრება. შეჯიბრებაში ტალალაევკის რაიონის კოლმეურნეობათა მიერ მიღწეული შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. სერდიუკი, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობათა შედეგების შესახებ — ამხ. ჰიქავა.

კამათში გამოვიდა ბევრი ამხანაგი. ისინი ლაპარაკობდნენ შეჯიბრების პერსპექტივებზე. შეკრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ტალალაევკელ და ზუგდიდელ კოლმეურნეთა შეჯიბრების საერთო შეჯიბრებად გადაქცევის შესახებ. ტალალაევკის რაიონში 50 კოლმეურნეობაა, ზუგდიდისაში — 49. ყველა ისინი ერთმანეთთან ჩაბმული იქნებიან შეჯიბრებაში 1941 წელს, შეჯიბრების ხელშეკრულებებს გააფორმებენ ფოსტით. გადაწყდა აგრეთვე სისტემატური მიწერ-მოწერის წარმოება, რათა არ შეასუსტონ შეჯიბრების ტემპები. შეჯიბრებაში ჩაებმებიან რაიონული გაზეთები, მტს-ები, სასოფლო საბჭოები.

შეკრების საქმიანი ნაწილის დამთავრების შემდეგ საქართველოს დელეგატებმა ტალალაევკის რაიონის კოლმეურნეებს მიართვეს საჩუქრები: ყუთები ციტრუსოვანი ნაყოფებით, ჩაი, არახისი, თხილი, აბრეშუმი და სხვ. საჩუქრებმა დამსწრეებში უდიდესი სიხარული გამოიწვია. ტალალაევკელებმა თავის მხრივ დელეგატებს მიართვეს თავისი შრომის ნაყოფი — პური, შაქარი, თაფლი.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი მიკოლა ნეჟინსკი, რომელმაც თავისი გამოსვლა დაამთავრა შეძახილით ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად. ყველა დამსწრემ ფეხზე მდგომმა იმღერა „ინტერნაციონალი“.

ტალალაევკელმა მშრომელებმა გვიან ღამით გააცილეს სტუმრები სადგურამდე.

პროფორგანოების ანგარიშგება-არჩევნები

რა უსაყვედურეს ქარხკომს

მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საქარხნო კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

საქარხნო კომიტეტის განვლილ მუშაობაზე მოხსენება გააკეთა ქარხკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. ყაზაზიშვილმა.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს X პლენუმის შემდეგ ქარხნის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. საქარხნო კომიტეტის ფასიანი აპარატი 69 კაციდან 21-მდე შემცირდა. ფასიანი აპარატის შემცირებასთან ერთად დაწინაურდნენ აქტივისტთა ახალი კადრები. ისინი ჩააბეს პროფკავშირული მუშაობის თითქმის ყველა დარგში. აქტივისტებმა საინოვმა, ხუბეროვმა და სხვებმა მუშაობის საუკეთესო მაგალითები გვიჩვენეს. ისინი გაცილებით უკეთესად მუშაობენ, ვიდრე ფასიან აპარატში მომუშავენი.

— საანგარიშო პერიოდში — სთქვა მომხსენებელმა, — მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ მუშათა და მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში. საქარხნო კომიტეტი კონტროლს უწევდა სასადილოების, ბუფეტების, მაღაზიების მუშაობას. პროფორგანიზაციის ინიციატივით აშენდა მუშათა სამსართულიანი საერთო საცხოვრებელი სახლი. გაფართოვდა საბავშვო ბაღი და ბაგა. კარგად წარიმართა მუშათა ბინების რემონტი.

26 ივნისის ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ საიარაღო-საამქროს პროფჯგუფორგმა სიდამონიძემ, სამჭედლო საამქროს პროფორგმა ხუბეროვმა და სხვებმა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითები გვიჩვენეს.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: ზარბაქაძე, გაბინაშვილი, ორდენოსანი სტახანოველი გეწაძე, ზაალიშვილი, დევსურაშვილი, ხაჩატუროვი და სხვები. მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ ქარხნის პროფორგანიზაციის მუშაობას მნიშვნელოვანი ნაკლიც ახასიათებდა. ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ საწარმოო თათბირების მუშაობას, ხშირად ამ თათბირებზე მიღებული წინადადებები უყურადღებოდ რჩებოდა. საქვაბე საამქრო საგრძნობლად ჩამორჩებოდა საწარმოო გეგმების შესრულებაში, მაგრამ საწარმოო თათბირებზე ამის შესახებ ნაკლებად მსჯელობდნენ. ზოგიერთ საამქროში პროფორგების მუშაობა მთლიანად ჩაშლილი იყო. პროფორგ მკერვალიშვილს დღემდე არცერთი თათბირი ან საუბარი არ ჩაუტარებია.

საამქროებში პროფორგები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და დამზადებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ელექტროშემდუღებელი საამქროს პროფორგი ბერიაშვილი არ იბრძოდა შრომის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, რის გამოც ხშირია სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გაცდენის შემთხვევები. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ჩამომსხმელი საამქროს პროფორგმა თვითონ გააცდინა სამუშაო დღე.

ამხ. გაბინაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა ქარხკომის მუშაობა პროფსაწევრო ანარიცხების აკრეფის გეგმის შეუსრულებლობის, სარევიზიო კომისიის სუსტი მუშაობისა და ზოგიერთი პროფორგის საწევრო ანარიცხების მითვისების გამო.

—ელექტროშემდუღებელი საამქროს ჯგუფორგმა კიკაბიძემ 1.600 მანეთი საწევრო ანარიცხები მიითვისა, საბარგო ვაგონების საამქროში — ჩაჩავამ — 800 მანეთი და სხვ. ყოველივე ეს სარევიზიო კომისიის სუსტი მუშაობის შედეგია, — ამბობს ამხ. გაბინაშვილი.

აგრეთვე აღინიშნა, რომ ქარხნის პროფორგანიზაცია სუსტად იბრძვის იმისათვის, რომ მომზადებულად შეხვდნენ ზამთარს. დღემდე შეკეთებული არ არის ღუმელები, მომარაგებული არ არის საჭირო რაოდენობით შეშა და სხვ.

უნდა აღინიშნოს როგორც მოხსენების, ისე სიტყვებით გამოსული ამხანაგების მთავარი ნაკლი. ამხ. ყაზაზიშვილმა სუსტად გააშუქა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა ცხოვრებაში გატარების საკითხი და ამ საქმეში პროფორგანიზაციის მონაწილეობა, ხოლო სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ამ მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ სრულებით არაფერი სთქვეს.

ქარხკომის მუშაობა შეფასებულ იქნა დამაკმაყოფილებლად.

ს. მერკვილაძე

ნავთის მრეწველობის მუშაკთა სიტყვა და საქმე

(წითელწყარო, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

ტრესტ „საქნავთის" წითელწყაროს ბურღვის კანტორის მუშაკები, რომელნიც ჩაბმული არიან ნავთის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო შეჯიბრებაში, ახალ წარმატებებს აღწევენ.

ბურღვის კანტორის მუშაკთა კოლექტივმა ნოემბერში გეგმით გათვალისწინებული 290 მეტრის ნაცვლად საძიებო ბურღვა 531 მეტრზე ჩაატარა და 10 ნოემბრისათვის თვიური გეგმა 183,1 პროცენტით შეასრულა. 10 ნოემბრის დღიური დავალება 742,2 პროცენტით შესრულდა.

საძიებო ბურღვის ყოველდღიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ ჭაბურღილის უფროსები ამხ. ა. ლორთქიფანიძე, ვ. ხუმარიანი, დალგანინი და სხვ.

შედარებით ჩამორჩება საექსპლოატაციო ბურღვა. 10 ნოემბრისათვის საექსპლოატაციო ბურღვის თვიური გეგმა შესრულებული იყო 26,5 პროცენტით.

მირზაანის სარეწაოებზე კვლავ ჩამორჩენაა ნავთის ამოღებაში. 10 რიცხვისათვის ნოემბრის დავალება 27,3 პროცენტით შეასრულეს.

წლიური გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით

ქუთაისი, (საქდესი). ქუთაისის ქიმიური ქარხანა საქართველოში ერთადერთი საწარმოა, რომელიც ეგრეთწოდებულ დეკორაციულ საღებავებს ამზადებს. ქარხნის პროდუქცია მზადდება ადგილობრივი ორგულინის კირ-ქვისა და ბარიტის საფუძველზე. ქარხანა თავის პროდუქციას ჰგზავნის მოსკოვს, ლენინგრადს, უკრაინასა და საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში.

ქარხნის კოლექტივი აქტიურად მონაწილეობდა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და თვალსაჩინო საწარმოო წარმატება მოიპოვა. მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში ქარხანამ გამოუშვა 1 მილიონი მანეთის (1926-27 წლების უცვლელი ფასებით) სხვადასხვა პროდუქცია. წლიური გეგმა შესრულებულია 115 პროცენტით.

ქიმიური ქარხანა შედის ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების შემადგენლობაში.

გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

თელავი, 15 ნოემბერი (საქდესი). თელავის რაიონმა მესამე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. დამზადებულია 6.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, რაც გეგმის 124 პროცენტს უდრის.

ეს წარმატება მიღწეულია ქისტაურელ მეაბრეშუმეთა მეთოდების ფართო გამოყენებით. აბრეშუმის ჭია დღე-ღამეში 25-30-ჯერ იკვებებოდა ახლად დაკრეფილი, წვრილად დაჭრილი ფურცლით. ზუსტად იყო დაცული საჭირო სითბო და სხვა.

მოხუცმა მეაბრეშუმემ, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ, ბაბე ბოტკოველმა 9 გრამი თესლიდან სახელმწიფოს 47,5 კილოგრამი პირველი ხარისხის აბრეშუმის პარკი ჩააბარა მესამედ; მეაბრეშუმე ანო მაისურაძემ დავალება 200 პროცენტით შეასრულა. ქეთო სამხნიშვილმა 5 გრამი თესლიდან 22,4 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღო.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

ახალი 1.480 ჰექტარი ამოშრობილი მიწა

საქართველოს სსრ მიწსახკომის კომისიამ მუდმივ საექსპლუატაციოდ მიიღო სიდი-ნაბაკევის მასივის დასაშრობი სისტემა. ამ სისტემამ ტაგილონისა და ნაბაკევის სოფლის საბჭოების (გალის რაიონი, აფხაზეთის ასსრ) ტერიტორიაზე მოგვცა ახალი 1.480 ჰექტარი ნაჭაობარი მიწა.

ამოშრობილი მიწის ახალი ჰექტარები ამ სოფლის საბჭოების კოლმეურნეობათა მიერ გამოყენებულ იქნება სუბტროპიკული კულტურებისათვის, უმთავრესად ჩაისათვის.

სარწყავი სისტემის მშენებლობის უფროსს ამხ. ქლენტსა და მთავარ ბუხჰალტერს ამხ. შამათავას მადლობა გამოეცხადა სამშენებლო სამუშაოს კარგი ხარისხისა და მშენებლობის ხარჯების შემცირებისათვის.

ამხ. ქლენტი და შამათავა დაჯილდოებული არიან თითო თვის ხელფასით. (საქდესი).

ამხ. კვირკველიას თამბაქოს ასაცმელი მანქანის დანერგვა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გამომგონებელი კოლმეურნის ამხ. კვირკველიას მანქანას, რომელიც ერთისამად და კიდევ მეტად ამცირებს ზონარზე თამბაქოს ფოთლის აცმისათვის საჭირო მუშახელს, ფართოდ იყენებენ საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში. წელს საქართველოს თამბაქოს პლანტაციებში ამხ. კვირკველიას 100-ზე მეტი თამბაქოსასაცმელი მანქანა მუშაობდა; მათ დიდი საწარმოო და ეკონომიური ეფექტი მოგვცეს.

ამხ. კვირკველიას სისტემის თამბაქოსასაცმელი მანქანების შემდგომი დანერგვის მიზნით 12 ნოემბრიდან 17 დეკემბრამდე აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, — ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, წითელ-წყაროს, ბორჩალოს და ლუქსემბურგის რაიონებში მოეწყობა კურსები, სადაც მსმენელნი შეისწავლიან ამხ. კვირკველიას მანქანის მუშაობას და მომსახურების ტექნიკას.

კურსებზე იქნება 6 ჯგუფი. ყველა ჯგუფის მსმენელთა საერთო რიცხვი 65 კაცს უდრის.

დაიწყო ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევა (მობილიზაცია) სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო საქარხნო სწავლების სკოლებში

გაწვევა წარმატებით მიმდინარეობს

(თელავი, საქ. კორესპონდენტისაგან)

თელავის რაიონიდან სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებში და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვეულ უნდა იქნას 95 ახალგაზრდა. 10 ნოემბრისათვის ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობისაგან შემოსული იყო 600-ზე მეტი განცხადება, მათ შორის კოლმეურნე ახალგაზრდობისაგან შემოსულია 400-ზე მეტი განცხადება. ყველა მათგანს გავლილი აქვს საექიმო შემოწმება.

რაიონულმა გამწვევმა კომისიამ უკვე ჩაატარა სამი სხდომა და 73 ახალგაზრდა ჩარიცხა ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში. დამთავრებულია ქალაქის ახალგაზრდობის გაწვევა, რკინიგზის სასწავლებლებში გაწვეულია 20 ახალგაზრდა.

პირველ სხდომაზე გამწვევი კომისიის წინაშე წარსდგა 14 წლის ახალგაზრდა პატრიოტი ალექსი ილიას-ძე ბოჭორიშვილი.

— ჩემი მშობლები თელავის აბრეშუმის ძაფსალებ ფაბრიკაში მუშაობენ, — განაცხადა მან. — დედა მხარშველია, საწარმოო პროგრამას ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებს, მამა — ცეცხლფარეში, ერთერთ მოწინავე მუშად ითვლება ფაბრიკაში, მეც დიდი სურვილი მაქვს წარმოებაში ვიმუშაო, გთხოვთ გამიწვიოთ რკინიგზის სასწავლებელში.

ბოჭორიშვილის თხოვნა კომისიამ დააკმაყოფილა.

— ჩემი ძმა იარაღით ხელში გულადად იცავს დედა-სამშობლოს სახელოვანი წითელი არმიის რიგებში. მე შრომის ფრონტზე უნდა ვასახელო ჩემი სამშობლო. გთხოვთ გამგზავნოთ რკინიგზის სასწავლებელში,—განუცხადა გამწვევ კომისიას 15 წლის შალვა პაპუნაშვილმა.

კომისიამ ისიც შეიტანა რკინიგზის სასწავლებელში გასაგზავნთა სიაში.

გამწვევი კომისიის სახელზე აკურის კოლმეურნეობა „მოწინავიდან" შემოსული იყო 38 განცხადება. მათგან საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში ჩაირიცხა 4 ახალგაზრდა.

ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში გასაგზავნთა შორის, რომლებმაც უკვე გაიარეს ყოველგვარი შემოწმება, არიან: თელავის საავადმყოფოს ძველი მუშის შაქრო ფეიქრიშვილის შვილი 14 წლის შიო ფეიქრიშვილი, კოლმეურნე ვალიკო მარჯაროვი, რაიონული სტამბის ახალგაზრდა მუშა-შეგირდი გაიოზ თუმანიშვილი, ხევსური ხვთისო გოგოჭური, ალექსი მედვედოვი და სხვები.

განაწილების მიხედვით თელავის რაიონიდან გაწვეულ ახალგაზრდათაგან თბილისის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გაიგზავნება 45 კაცი, სახელოსნო სასწავლებლებში — 30 და რკინიგზის სასწავლებლებში—20. გამწვევ კომისიას უკვე მიღებული აქვს გაწვეულთა საგზურები და რკინიგზის ლიტერები.

კომისია ახალგაზრდობის გაწვევას მომზადებული შეხვდა და შეუფერხებლად მუშაობს.

თელავის სარეწაო არტელები გაცხოველებით ამზადებენ გაწვეულთათვის ტანისამოსსა და ფეხსაცმელს.

კ. აფხაზავა

ახალწვეულები ფოთიდან

ფოთი (საქ. კორ.). დაიწყო სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში ახალგაზრდობის გაწვევა.

საქალაქო გამწვევი კომისიის მაგიდასთან ზედიზედ მიდიან ჯანსაღი, სიცოცხლით აღსავსე ჭაბუკები.

— მამაჩემი კოლხიდის დაშრობაზე მუშაობს, მე კი მსურს გავხდე კვალიფიციური ზეინკალი.— განაცხადა 11 წლის სიმონ პროკოპენკომ.

სიმონ ჩოჩუამ კომისიას სთხოვა გაგზავნონ სარკინიგზო სასწავლებელში.

კომისია აკმაყოფილებს მათს თხოვნას.

ფოთიდან ახალ სასწავლებელში უნდა გაიგზავნოს 44 ახალგაზრდა, მსურველთა რიცხვი კი ბევრად აღემატება ამ ციფრს.

გამწვევ კომისიაში პირველ დღეს გაიარა 30 ახალგაზრდამ. კომისიის მუშაობა გრძელდება.

კომისიამ მუშაობა დაამთავრა

ჭიათურა, 15 ნოემბერი (საქდესი). საჩხერის რაიონულმა გამწვევმა კომისიამ მუშაობა დაამთავრა, კომისიამ განიხილა სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებში შესვლის მსურველთა 110 განცხადება.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გეგმის თანახმად, 35 ახალგაზრდა კოლმეურნე გაგზავნილია ჭიათურის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში, ხოლო 20 ახალგაზრდა კოლმეურნე გაგზავნილია თბილისში ერთერთ სახელოსნო სასწავლებელში მისაღებად.

სახელოსნო სასწავლებელი მზად არის მსმენელთა მისაღებად

(ბორჯომი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის 18 ოქტომბრის დადგენილებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელოსნო სასწავლებლების, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოწყობის შესახებ", ბორჯომში იხსნება სახელოსნო სასწავლებელი 200 მოსწავლისათვის.

აღნიშნული სასწავლებლისათვის უკვე გამოყოფილია ადგილობრივი საფაბრიკო - საქარხნო სასწავლებლისა და სატყეო ტექნიკუმის ყოფილი შენობის პირველი და მეორე სართული. ახალი სახელოსნო სასწავლებლის მარტო საერთო საცხოვრებლისათვის, სასადილოსათვის და სხვ. გამოყოფილია 17 ოთახი, კლასებისათვის კი—8 ოთახი. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, კაბინეტებს და სხვ. დაეთმო 6 ოთახი.

სასწავლებლისათვის გამართულია სახელოსნოები: სახარატო, საზეინკლო, ჩამომსხმელი და საავეჯო-სამოდელო. ამჟამად წესრიგში მოყვანილი როგორც საწარმოო შენობები და მოწყობილობა, ისე საერთო საცხოვრებლები, რომლებიც ახალ სასწავლებელს გადაეცა.

სასწავლებლისათვის შერჩეულია დირექტორი (ნ. არჯევანიძე) და სასწავლო ნაწილის გამგე (პ. ხოჭოლავა), სასწავლებელი უზრუნველყოფილია აგრეთვე საერთო-საგანმანათლებლო და სპეციალური დისციპლინების, სამხედრო-ფიზკულტურული და სხვა დარგის სპეციალისტებითა და ოსტატებით.

აღნიშნულ სასწავლებელში ბორჯომის რაიონს მიკუთვნებული აქვს 50 ადგილი. აქედან სოფლის ახალგაზრდობა მიღებული იქნება 30 კაცი, ხოლო ქალაქისა —20. მიუხედავად ამისა, მიღების მსურველთა განცხადებები უკვე 300-ს აღემატება.

სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევის ჩასატარებლად ბორჯომში 23 ოქტომბრიდან შექმნილია კომისია რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, პროფკავშირის ორგანიზაციის წარმომადგენლისა და კომკავშირის რაიკომის მდივნის შემადგენლობით.

სანიმუშოდ გამოვაზამთროთ ციტრუსები

ცხაკაია („კომუნისტის" კორ.). საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიის რაიკომის პლენუმმა სპეციალური დადგენილება გამოიტანა ციტრუსების გამოზამთრებისათვის მზადების შესახებ.

ამ დადგენილების საფუძველზე რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს. სოფ. შხეფის კიროვის სახელობის (თავმჯდომარე—ვ. ადამია), სოფ. ნოსირის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე—ოდიშარია) და სხვა კოლმეურნეობებმა 1 ნოემბრამდე დაამთავრეს ციტრუსოვანთა გამოზამთრებისათვის მზადების სამუშაოები. საკმაო რაოდენობით მოიმარაგეს საფუთავი მასალა, სარები, სილა, საწვავი მასალა, დროულად ჩაატარეს 2-პროცენტიანი შეთოვანი ემულსიით ციტრუსოვანი ხეების შეწამლვა, კარგად მოაწყეს სადრენაჟო ქსელი და სხვ.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა ყველგან როდია. მაგალითად, სოფ. მენჯის ლენინის სახელობის (თავმჯდომარე — ძ. ხარბედია), სოფ. ოქტომბრის ლენინის სახელობის (თავმჯდომარე — ალ. კორშია), ძველი სენაკის სტალინის (თავმჯდომარე — ხ. კუპრეიშვილი) და ორჯონიკიძის (თავმჯდომარე — თ. მაისაია) სახელობის კოლმეურნეობებს ჯერაც არ მოუმზადებიათ ციტრუსოვანი კულტურების გამოზამთრებისათვის საჭირო მასალები, არ მოუწყვიათ პლანტაციებში დრენაჟი და სხვ.

სოფ. ოქტომბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც წელს ფარდულებში 18.000 ნერგი უნდა შეიტანოს, მხოლოდ 10.000 ძირის ტევადობის ფარდული აქვს და ისიც შესაკეთებელია. ასეთივე მდგომარეობაა ძველი სენაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაშიც.

ზამთარი კარზეა მომდგარი. გასული წლის მაგალითები რომ არ განმეორდეს, საჭიროა ახლავე მიღებულ იქნას ზომები ციტრუსების გამოზამთრების სამუშაოებში არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

ე. გუგუნავა

ზამთარს მოუმზადებელი ხვდებიან

გეგეჭკორი („კომუნისტის" კორ.). გეგეჭკორის რაიონის 54 კოლმეურნეობაში იმჟამად მოწყობილია 120 ფერმა, რომლებშიც 14.835 სული სხვადასხვა პირუტყვია.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფ. აბედათის კოლმეურნეობა „შრომის სამეფოს" მოუვლელობის გამო მოუკვდა 13 სული პირუტყვი, სოფ. ჯოლევის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობას — 22, სოფ. კორზუს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას — 60, სოფ. გეგეჭკორის კოლმეურნეობა „წითელარმიელს" — 33, სოფ. ხუნწის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას — 2 ცხენი და სხვ.

რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ ითვალისწინებენ იმას, რომ თუ ზამთარს მოუმზადებლად შეხვდნენ, მოსალოდნელია პირუტყვის ხშირი სიკვდილიანობა.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან სოფ. ვედიდკარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ბინის უქონლობის გამო ფერმის პირუტყვი მიბარებული ჰყავთ კოლმეურნეებს.

პირუტყვის სადგომების მშენებლობა ჯერაც არ დაუწყიათ სოფ. დიდიჭყონის ბერიას სახელობის, სოფ. ტალერის გეგეჭკორის სახელობის, სოფ. ლეხაინდრაოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობებს. სოფ. სერგიეთის კოლმეურნეობა „მნათობში", სოფ. ნახუნაოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში და სოფ. კორზუს კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" სუსტად მიმდინარეობს პირუტყვის სადგომების რემონტი.

კოლმეურნეობათა პირუტყვი არც საკვებით არის სავსებით უზრუნველყოფილი. კოლმეურნეობებმა წელს 1.300 ცენტნერის ნაცვლად მხოლოდ 800 ცენტნერი საკვები დაასილოსეს. სოფ. გეგეჭკორის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში სასილოსე მასალა მინდვრად ჰყრია და ლპება. თივის აღებაში სამარცხვინოდ ჩამორჩებიან სოფ. ჯოლევის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა და ნახუნაოს კოლმეურნეობა „ახალი გზა". ნელი ტემპით მიმდინარეობს ჩალის აღება-დაბინავებაც.

სპ. ბართია

კარგად ემზადებიან

წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკი" ყოველმხრივ მომზადებული ხვდება ზამთარს. კოლმეურნეობას აქვს პირუტყვის 14 სადგომი, რომლებიც შეკეთებული და დეზინფექცირებულია. მომარაგებულია საკვებიც, კოლმეურნეობამ წელს უნდა გამოაზამთროს 18.000 სული ცხვარი და თხა, 1.800 ძროხა და 400 ცხენი. 5.000 სული ცხვარი შირვანის საძოვრებზე გაიზამთრებს.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის კარგად ემზადება ამავე სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაც. კოლმეურნეობას, რომელმაც უნდა გამოაზამთროს 3.000 სული ცხვარი, 230 ძროხა, 80 ცხენი. პირუტყვისათვის გამოყოფილი აქვს 21 ტონა ქერი და შვრია და 35 ტონა სილოსი.

გ. ხუციშვილი

მანდარინის მასობრივი კრეფა

ბათუმი, 15 ნოემბერი (საქდესი). აჭარის საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები შეუდგნენ მანდარინის მასობრივ კრეფას.

შერჩევით კრეფის დაწყებიდან 12 ნოემბრამდე აჭარაში 42 მილიონი ცალი მანდარინი მოიკრიფა. მარტო მასობრივი კრეფის დაწყების პირველ დღეს — 12 ნოემბერს 8 მილიონი ცალი მანდარინი მოიკრიფა.

ქობულეთის რაიონის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში ყოველდღიურად 100 ათასი ცალი მანდარინი იკრიფება. ამ საბჭოთა მეურნეობის სტახანოველები: ვ. შაბანოვა, ლ. აბრამოვა, კ. მატვეიჩუკი დღეში 9-9 ათას ცალ მანდარინს ჰკრეფენ.

წელს აჭარაში 244.300 ათასი ცალი მანდარინი, 3.500 ცალი ფორთოხალი და 2.200 ცალი ლიმონი უნდა მოიკრიფოს.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 14 ნოემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გუშინ გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ლონდონსა და სამხრეთ ინგლისს. ბომბარდირებულ იქნა ქარხნები და რკინიგზის ნაგებობანი მთელს სანაპიროზე. ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა სცადეს წინააღმდეგობა გაეწიათ ბომბარდირებისათვის და იერიში მიეტანათ გერმანიის ავიაგამანადგურებლებზე. ჩამოგდებულია ინგლისის ერთი ავიაგამანადგურებელი, ორი დაზიანებულია. გერმანიის ერთი თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა.

ინგლისის თვითმფრინავებმა სცადეს თავს დასხმოდნენ ბერლინს. საზენიტო არტილერიის ძლიერი ცეცხლის გამო მათ ვერ შესძლეს გადამღობი ზონის გარღვევა. ყუმბარები ჩამოჰყარეს ქალაქის ფარგლებს გარეთ.

გუშინღამ, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, გერმანიის თვითმფრინავები განაგრძობდნენ ლონდონზე თავდასხმას. განსაკუთრებით სერიოზულად დაზიანებულია ქალაქის ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილის რკინიგზის ნაგებობანი. რამდენიმე ძლიერი აფეთქება მოხდა ვესტინგის დოკებში. ჩვენმა თვითმფრინავებმა ინტენსიურად დაუშინეს ყუმბარები ლივერპულს, კოვენტრის და ზოგიერთ პუნქტს ლა-მანშის სანაპიროზე. დღეს ჩვენმა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სამხედრო ობიექტებს ლონდონსა და სამხრეთ ინგლისში. (საქდესი).

ბერლინი, 14 ნოემბერი. გერმანიის არმიის სარდლობის ცნობაში ნათქვამია: „გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის ხუთი შეიარაღებული სავაჭრო გემი ...840 ტონა საერთო წყალწყვისა. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, გერმანიის ავიაციის დიდი შენაერთები 12 ნოემბერს, ღამით, განაგრძობდნენ ინგლისზე თავდასხმას. ლონდონის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილის რკინიგზის ნაგებობებში, ვესტ-ენდის დოკებში და ქალაქის სხვა სამხედრო ობიექტებში ბევრგან ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა. თვითმფრინავებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები ლივერპულსა და კოვენტრის. გუშინ გერმანიის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს ლონდონზე და ცენტრალური და სამხრეთ ინგლისის სხვა სამხედრო ობიექტებზე, ყუმბარები უმთავრესად დაუყარეს აეროდრომებსა და რკინიგზის ნაგებობებს, აგრეთვე ბირმინგამის მახლობლად მდებარე სამხედრო ქარხანას. კინარდის კონცხის მახლობლად თვითმფრინავები [illegible] წარმატებით დაესხნენ თავს მტრის გემთა ქარავანს. ჩაძირულია 6 ათას-ტონიანი სამხედრო გემი, 8 ათას-ტონიანი სატვირთო გემი.

ინგლისის ავიაციის ღამის თავდასხმას გერმანიის ტერიტორიაზე არსებითი შედეგები არ მოჰყოლია. დაზიანებულია რამდენიმე შენობა. ბერლინზე თავდასხმის ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ჩამოგდებული ყუმბარები ქალაქის გარეუბნებში დაეცა. ზარალი უმნიშვნელოა. გუშინ საჰაერო ბრძოლაში მტერმა დაჰკარგა 2 თვითმფრინავი. გერმანიის 3 თვითმფრინავი უგზო-უკვლოდ დაიკარგა". (საქდესი).

ინგლისის ცნობები

ოფიციალურად იუწყებიან, რომ 12 ნოემბერს, ღამით, მტერმა ფართო მასშტაბით განაახლა ინგლისზე იერიშის მოტანა. ლონდონის ბომბარდირება მთელ ღამეს გაგრძელდა. არის ზარალი და მსხვერპლი. ყუმბარები ჩამოჰყარეს ლონდონის მეზობელ საგრაფოთა ცალკეულ პუნქტებში, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში. არის უმნიშვნელო ზარალი.

12 ნოემბერს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ნავთსაცავებს ჰელზენკირხენსა და კელნში. თვითმფრინავებმა ყუმბარები დააყარეს რკინიგზის კვანძებს დუისბურგის სამდინარო ნავსადგურში, აგრეთვე რურის ოლქის ქარხნებს. ბომბარდირებულ იქნა წყალქვეშა ნავების ბაზა ლორიანში, დოკები ფლისინგენსა და დიუნკერკში. ინგლისის ერთი თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 13 ნოემბერს, ღამით, ინგლისში დაფრინავდა მტრის რამდენიმე თვითმფრინავი. ყუმბარები ჩამოაგდეს ლონდონის ერთერთ რაიონში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ზოგიერთ პუნქტში. ლონდონში, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში დაზიანებულია საცხოვრებელი სახლები. სხვა რაიონებში, რომლებმაც ბომბარდირება განიცადეს, მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. (საქდესი).

ინგლისის მუშათა ბრძოლა

ლონდონი, 14 ნოემბერი (საქდესი). ამ დღეებში შესდგა მდინარე კლაიდის (შოტლანდია) ველის ყველა სამრეწველო რაიონის საფაბრიკო მამასახლისთა კრება, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დახმარება გაუწიონ გოვანის (გლაზგო) ფაბრიკის მუშებს, რომლებიც უკვე 7 კვირაა გაფიცული არიან და მოითხოვენ სამსახურიდან დათხოვნილი საფაბრიკო მამასახლისის სამუშაოზე აღდგენას. კრებამ აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება ამ კვირაში ჩაატაროს მასობრივი მიტინგები სამრეწველო რაიონებში. 17 ნოემბერს მოიწვევენ საფაბრიკო მამასახლისთა ახალ კრებას, რომელზედაც მიღებულ იქნება შრომისა და ნაციონალური ბეგრის მინისტრ ბევინისათვის გასაგზავნი დეპეშის ტექსტი.

სასურსათო საქონლის ფასის ზრდა ინგლისში

ლონდონი, 14 ნოემბერი (საქდესი). ინგლისის ცნობილ ეკონომისტთა ჯგუფმა გამოაქვეყნა ბიულეტენი ინგლისში სასურსათო საქონლის ფასის მოძრაობის შესახებ. ბიულეტენში აღნიშნულია, რომ ომის დაწყების დროიდან ამ საქონლის ფასი 47 პროცენტით გადიდდა. ბიულეტენში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ამავე პერიოდში სხვადასხვა მასალის ფასი 37 პროცენტით გადიდდა.

ინგლის-იტალიის ომი

ლონდონი, 14 ნოემბერი. ინგლისის საჰაერო ძალთა სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია: „იტალიის აღმოსავლეთ აფრიკაში ჩვენმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ბახრ-დარს (ტანის ტბაზე). ზულაში ჩვენმა თვითმფრინავებმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს მტრის ჰიდროთვითმფრინავს, რომელიც ჩაიძირა. კუნძულ ხარმილის მახლობლად (მეწამული ზღვა) თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მტრის გემსა და მთელ რიგ სხვა სამხედრო ობიექტებს".

ლონდონი, 14 ნოემბერი. გაზეთი „ტაიმსი" იუწყება, რომ ივნისიდან მალტაზე გამოცხადდა 180 საჰაერო განგაში. იტალიის ავიაციამ მალტაზე თავდასხმის დროს დაჰკარგა 28 თვითმფრინავი, ინგლისის ავიაციამ — 3 თვითმფრინავი. (საქდესი).

ტარანტოს ბომბარდირება

ლონდონი, 14 ნოემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 13 ნოემბერს ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ტარანტოს დოკებსა და ნავსადგურზე და თავის ბაზაში დაბრუნდნენ.

იტალიის ცნობა

რომი, 14 ნოემბერი. იტალიის სარდლობა ეპირიდან იუწყება, რომ კალაბაკის ზონაში მოგერიებულ იქნა მტრის რამდენიმე იერიში. იტალიის ავიაცია რამდენჯერმე თავს დაესხა მტრის ჯარს პრესპის ტბის ზონაში, ყუმბარები დაუშინა აეროპორტ პაპასს, არგოსტოლის და პრევეზას, ტყვიამფრქვევი დაუშინა მტრის კოლონებს. მტრის ავიაციამ უშედეგოდ დაუშინა ყუმბარები დურაცოს და ვალონას, სადაც მოკლულია 6 და დაჭრილია 13 კაცი.

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში იტალიის თვითმფრინავებმა, რომლებზედაც იერიში მიიტანეს მტრის ავიაგამანადგურებლებმა, ჩამოაგდეს მტრის 2 თვითმფრინავი. იქვე იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მტრის გემთა ქარავანს. ერთი გემი ჩაიძირა. მეორე საჰაერო შენაერთმა ალექსანდრიაში (ეგვიპტე) საზღვაო ბაზაზე თავდასხმისას ყუმბარები დაუშინა მტრის კრეისერს, რომელიც ნავსადგურში იდგა. ფუკას რაიონში ედ-დაბას და მაატენ ბაგუშის რაიონში რკინიგზის ბომბარდირების შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა. თვითმფრინავებმა მაატენ ბაგუშის აეროდრომს ტყვიამფრქვევი დაუშინეს. დაიწვა მტრის ერთი თვითმფრინავი და სერიოზულად დაზიანდა 3 თვითმფრინავი. მტრის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ბარდიაზე, დერნასა და ბენგაზზე. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა.

აღმოსავლეთ აფრიკაში მტერმა უშედეგოდ დაუშინა ყუმბარები იტალიის პოზიციებს გალაბატთან.

მტრის თვითმფრინავები იტალიაში თავს დაესხნენ კროტონს, სადაც ყუმბარები ზღვაში ჩავარდა, აგრეთვე ტარანტოს, სადაც მოკლულია 3 და დაჭრილია 12 კაცი. დაზიანებულია საცხოვრებელი სახლები. (საქდესი).

მუსოლინიმ მიიღო რუმინეთის პრემიერი ანტონესკუ და საგარეო საქმეთა მინისტრი სტურძა

ბერლინი, 14 ნოემბერი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო რომიდან გადმოგვცემს, მუსოლინიმ დღეს მიიღო რუმინეთის პრემიერი გენერალი ანტონესკუ და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სტურძა. მიღებას დაესწრო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო.

უოლესის დანიშვნა

ვაშინგტონი, (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ რუზველტმა ამერიკის შეერთებული შტატების ახლადარჩეული ვიცე-პრეზიდენტი უოლესი სპეციალურ წარმომადგენლად დანიშნა იმ ზეიმზე, რომელიც გაიმართება იმასთან დაკავშირებით, რომ 1 დეკემბერს მექსიკის პრეზიდენტი ავილა კამაჩო თანამდებობის შესრულებას შეუდგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

ერთმმართველობა და პარტიული ორგანიზაცია

სამეურნეო მუშაკი ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ნდობითა და პატივით არის მოსილი. ახლა, როდესაც საწარმოებში მტკიცე, რკინისებური წესრიგი მყარდება, როდესაც დაუნდობლად ებრძვით გაცდენას, სიზარმაცეს, ცუღლუტობას, ფრენიობას,—კაპიტალიზმის ამ სამარცხვინო გადმონაშთებს, როდესაც გაშლილია ბრძოლა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, კიდევ უფრო აუცილებელი ხდება სამეურნეო მუშაკის ავტორიტეტის ამაღლება, ერთმმართველობის პრინციპის განმტკიცება.

ასეთ ვითარებაში საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა ყოველნაირად დაეხმარონ სამეურნეო ხელმძღვანელებს, შეუქმნან მათ ავტორიტეტი, მხარი დაუჭირონ ერთმმართველებს.

მაგრამ ასე არ იქცეოდა თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი. იგი იმით იყო დაინტერესებული, რომ შეელახა სამეურნეო ხელმძღვანელთა ავტორიტეტი. ის დირექტორის დაუკითხავად სწყვეტდა საწარმოო საკითხებს, ხოლო ზოგჯერ საქმე იქამდე მიდიოდა, რომ კატეგორიულად მოითხოვდა დირექტორის კანონიერი ბრძანებების შეცვლას.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების შემდეგ ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას ახალი ადამიანები ჩაუდგნენ სათავეში. ცხადი იყო, რომ ძველებურად მუშაობა არ გამოდგებოდა. პარტბიურომ ახლებურად დაიწყო მუშაობა. იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დირექტორი გახდეს წარმოების სრულუფლებიანი ხელმძღვანელი, ყველა უჯეროდეს მას, ურყევად ტარდებოდეს მისი ბრძანებები.

მექანიკურ, საიარაღო და სამილე საამქროებში შრომის დისციპლინა სუსტი იყო. საამქროს უფროსები დირექტორის განკარგულებას არ ასრულებდნენ, ოსტატები უგულებელჰყოფდნენ საამქროს უფროსების მითითებებს, ხოლო მუშები თავის მხრივ — ოსტატების დავალებათა დროულად შესრულებას. ეს კი აფერხებდა მაღალხარისხოვანი დაზგების გამოშვებას.

პარტიულმა ორგანიზაციამ ეს საკითხი მსჯელობის საგნად გაიხადა, იგი დაუკავშირა „პრავდის“ მეთაურ წერილებს სამეურნეო ხელმძღვანელის ავტორიტეტის განმტკიცების შესახებ და ქარხნის პარტიულ - სამეურნეო აქტივის კრებაზე მოისმინა დირექტორის ამხ. ნ. ორჯონიკიძის მოხსენება. კრებაზე აღინიშნა ერთმმართველობის პრინციპის დარღვევის ფაქტები, რომელთა წინააღმდეგ მიღებულ იქნა სათანადო ზომები.

სამილე საამქროს კომუნისტმა ამხ. ა. ბენდიაშვილმა შესვენების შემდეგ 15 წუთი დაიგვიანა. საამქროს ოსტატმა ამხ. ზაკომოლდინმა მას დაგვიანების მიზეზი ჰკითხა, ბენდიაშვილმა ეს იწყინა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ოსტატს მკვახედ უპასუხა: „მე თუ მსურს კიდევ დავიგვიანებ. მაგრამ ეს შენ სრულიად არ გეხებაო“. ა. ბენდიაშვილს, როგორც შრომის დისციპლინის დამრღვევს, საყვედური გამოუცხადეს.

ბენდიაშვილი ვერ ისვენებდა, სურდა რაღაც გამოენახა და ოსტატის ავტორიტეტი შეელახა. ბოლოს მან მართლაც დასწერა განცხადება და პარტბიუროში შეიტანა. ამტკიცებდა, რომ ოსტატს ამხ. ზაკომოლდინს და საამქროს უფროსს ამხ. ტუზოვს დეზორგანიზაცია შეაქვთ წარმოებაშიო. პარტბიურომ ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა და განიხილა. ა. ბენდიაშვილის განცხადება უსაფუძვლო აღმოჩნდა, უტაქტო მოქმედებისათვის მას მითითება მიეცა. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ შესაძლებელია ასეთი სასჯელი ამხ. ა. ბენდიაშვილისათვის მსუბუქია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ პარტორგანიზაციის მიერ მიღებულმა ზომებმა მუშების თვალში აამაღლა როგორც საამქროს უფროსის, ისე ოსტატის ავტორიტეტი.

საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსს, მთავარ ტექნოლოგს ამხ. კოლოსოვსკის განყოფილების მუშაკი ამხ. ბელოხოვსკი არაფერს არ უჯეროდა, პირიქით, ყოველ ნაბიჯზე სახელს უტეხდა მას.

ამ ამბავმა პარტბიურომდე მიაღწია. შეისწავლეს საქმის ვითარება და პარტიული ბიუროს სხდომაზე, საწარმოო-ტექნიკური განყოფილების მუშაკებთან ერთად, განიხილეს ეს საკითხი. გამოირკვა, რომ კომუნისტი ამხ. ბელოხოვსკი დაუსაბუთებელ ბრალდებას უყენებდა ამხ. კოლოსოვსკის. იმის მაგიერ, რომ აემაღლებინა განყოფილების უფროსის ავტორიტეტი, შეესრულებინა ერთმმართველის განკარგულებანი, სახელს უტეხდა ამხ. კოლოსოვსკის. ამიტომ იყო, რომ პარტბიურომ ამხ. ბელოხოვსკის საყვედური გამოუცხადა. რა შედეგი მოჰყვა ამას? გაიზარდა განყოფილების უფროსის ავტორიტეტი, გაიზარდა განყოფილების მუშაკთა პასუხისმგებლობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ საამქროთა პარტბიუროები ძალიან ცოტას ზრუნავენ ოსტატის ან საამქროს უფროსის ავტორიტეტის ამაღლებაზე. ამ მხრივ დამახასიათებელია საიარაღო საამქრო. მხეხავმა ქივოტოვმა 16 ოქტომბერს დაზგის 20 ცალი მილყელი წუნდებული გამოუშვა. ოსტატმა ამხ. ბელიკოვმა მიუთითა, ასე მუშაობა არ შეიძლებაო. ქივოტოვმა ეს იუკადრისა და ოსტატს პირში მიახალა: „რათ მინდა თქვენი მილყელები, ყველას ფანჯრიდან გადავყრი, თუ არ მოგწონს მობრძანდი და შენ გააკეთე უკეთესადო“.

ამავე საამქროს ხარატი ბუტროვი წუნდებულ პროდუქციას უშვებს. დღე არ გავა, რომ წუნდებული დეტალები არ დაამზადოს. ოსტატის ამხ. კნიპენბერგის განკარგულებას არაფრად არ აგდებს. ბუტროვმა ზედიზედ 14, 15, 16 და 17 ოქტომბერს, დაზგის წუნდებული ნაწილები დაამზადა. ოსტატმა და საამქროს უფროსმა მას შენიშვნა მისცეს. მაგრამ ბუტროვმა აგდებულად განაცხადა: „თქვენ სახლში ბავშვები დაარიგეთ, მე კი ჭკუას ვერ მასწავლითო“.

ასეთი მოვლენები აქ არც ისე იშვიათია. საამქროთა პარტორგანიზაციებს კი ერთხელაც არ გაახსენდათ დაეყენებინათ საკითხი ოსტატის როლისა და სამეურნეო ხელმძღვანელების ავტორიტეტის ამაღლების შესახებ. ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

ვ. ჭიოკაძე

გაზეთ „სტალინელის“ რედაქციის ვალდებულებანი

გორი (საკ. კორესპონდენტისაგან). გაზ. „სტალინელის“ რედაქციის მუშაკებმა, მის ირგვლივ დარაზმულმა მუშსოფლკორებმა და აქტივმა ერთსულოვნად მოიწონეს გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქციის მუშაკების წინადადება კოლხიდისა და ქართლის რაიონების შემდგომი აყვავებისათვის სოცშეჯიბრების გაშლის შესახებ.

გაზეთ „სტალინელის“ რედაქციის მუშაკები განაგრძობენ ბოლშევიკურ ბრძოლას ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის სტალინური პროგრამის განსახორციელებლად. ამ მიზნით გაზეთის გარშემო დარაზმული იქნებიან კომუნისტები, მუშსოფლკორები, კოლმეურნეები. „სტალინელის“ რედაქცია ყოველ სამ თვეში ერთხელ ჩაატარებს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ხოლო შერჩევით მეცხოველეობის ფერმების გამგეების, ბრიგადირების, რგოლის ხელმძღვანელებისა და მეაბრეშუმე ქალების თათბირებს პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილების განხორციელების მიმდინარეობის საკითხებზე.

რედაქცია ორჯერ ჩაატარებს იმ სოფლკორების შემოქმედებითს შეხვედრას, რომლებიც ოპერატიულად გააშუქებენ 15 ოქტომბრის დადგენილების შესრულებისათვის კოლმეურნეობათა ბრძოლას. მიმდინარე წელს ოთხჯერ მოეწყობა გამსვლელი რედაქცია. ამით ნაჩვენები იქნება, თუ როგორ იბრძვიან რაიონის კოლმეურნეობები 15 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად — სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის განვითარებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის, საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობისათვის.

17 ნოემბერს „სტალინელის“ რედაქცია იწვევს მუშსოფლკორებისა და რაიონის აქტივის თათბირს, რომელზეც განხილული იქნება პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილება.

25 ნოემბრისათვის გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელს“ გაზ. „სტალინელი“ უმზადებს შემცვლელ გვერდს თემაზე: ბოლშევიკურად განვახორციელოთ ქართლის რაიონების აყვავების სტალინური პროგრამა.

ს. ყურაშვილი

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ლექტორი ამხ. პ. ი. ჯიბლაძე ლადო კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში ემზადება მოხსენებისათვის თემაზე „ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრება და მოღვაწეობა“
ფოტო ვ. ობლიაპინისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

მწერალთა საქალაქო კრება

სამ დღეს გაგრძელდა თბილისში მწერალთა საქალაქო კრება. საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა იგი და უაღრესად აქტუალური შემოქმედებითი საკითხები და ამოცანები იყო მისი მსჯელობის მთავარი საგანი. ამ მხრივ ეს კრება ერთგვარი საწარმოო თათბირის ხასიათს ატარებდა, ცდილობდა გამოევლინებინა ის ნაკლოვანებები, რომელთაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს მწერალთა კავშირის საქმიანობაში და ცალკეული მწერლების შემოქმედებითს ლაბორატორიებში.

მწერალთა კავშირის მუშაობის თვითკრიტიკასა და ცალკეული მწერლების შემოქმედების კრიტიკას შეიცავდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. ირ. აბაშიძის მოხსენება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მწერლების უკანასკნელი ყრილობის შემდეგ, კავშირის ახლადარჩეულმა პრეზიდიუმმა საკმაოდ ფართოდ გაშალა მუშაობა, მაგრამ შემდეგ ეს მუშაობა შენელდა. შესწყდა პრეზიდიუმის წევრთა მორიგეობა და სექციების მუშაობაც შესუსტდა. კავშირის გაზეთმა და ჟურნალებმა ახლებურად ვერ გარდაქმნეს თავისი საქმიანობა. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ ისინი უგულებელჰყოფენ გეგმიანობას თავის მუშაობაში, არ არიან მწერლების შემოქმედებითი მუშაობის კურსში, არ აწარმოებენ მუშაობას ავტორებთან და ვერ რაზმავენ მწერლებს თანამედროვეობის აქტუალური ამოცანების გარშემო. ლიტერატურულ ჟურნალებში („მნათობი“, „ჩვენი თაობა“) იშვიათად იბეჭდება თეორიული ხასიათის წერილები, რომელთაც შეუძლიათ ასწიონ მწერალთა იდეური დონე. მწერალთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენებითაც აიხსნება ის, რომ მწერლები სათანადოდ ვერ იცნობენ სინამდვილეს და მის ასახვაში უშვებენ მთელ რიგ არსებით შეცდომებს.

ზოგიერთი მწერალი შეუფერებლად სთვლის გამოეხმაუროს ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობას და თავისთვის მისაბაძ მაგალითად არ იხდის საბჭოთა ეპოქის შესანიშნავი პოეტის ვ. მაიაკოვსკის მოღვაწეობას. ამიტომ არის, რომ ჩვენმა მწერლობამ საჭირო სიღრმით ჯერ კიდევ ვერ ასახა სტახანოვური მოძრაობა და ლენინ-სტალინის ეპოქის დიდმნიშვნელოვანი მოვლენები.

ლენინ-სტალინის პარტიის გმირული ისტორიისა და მისი სახელოვანი ბრძოლის ტრადიციების არასაკმარისი ცოდნა თავის გავლენას ახდენს ლიტერატურაზე. უიდეობამ ფეხი მოიკიდა არა მარტო ახალგაზრდა, არამედ მოწინავე პოეტების ლექსებშიც. საილუსტრაციოდ მომხსენებელმა წაიკითხა ადგილები ა. მაშაშვილის „მინიატურებიდან“ და საფუძვლიანად გააკრიტიკა ს. ჩიქოვანის ლექსები —„ძველი საათი“, „თოვლის მოლოდინში“, „აშრიალი“ და სხვ., რომელთაც აშკარა უიდეობის დაღი აზის.

ამ გარემოებისათვის ქართულ მხატვრულ კრიტიკას ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია. იგი დაგვიანებით ეხმაურება ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებს, ჩაჰკირკიტებს დეტალებს და გვერდს უვლის და ვერ ამჩნევს არსებითს შეცდომებს. კრიტიკოსმა დ. ბენაშვილმა, მაგალითად, ვრცლად გაარჩია კ. გამსახურდიას შემოქმედება, მაგრამ ერთი სიტყვაც არ სთქვა იმის შესახებ, რომ „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“ კ. გამსახურდია სწორად არ ხსნის ისტორიას, რომ ამ რომანის კონცეპცია საერთოდ მცდარია.

ნაკლებ ყურადღებას უთმობს კრიტიკა შემოქმედებითი მუშაობის ხარისხს. ზოგიერთი მწერალი მხატვრული ოსტატობის შეუფასებლობას იჩენს. სანიმუშოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ს. ეულის ლექსი „გმირი“ და ს. თავაძის პოემა „გმირთა დიდება“. პირველი, მიუხედავად კარგი სიუჟეტისა, მხატვრულად გულუბრყვილო და სუსტია, მეორე კი — მეტად სქემატიური და აგრეთვე სუსტი.

დიდი ადგილი დაუთმო ამხ. ირ. აბაშიძემ ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითს საქმიანობას და აღნიშნა, რომ მათი აღზრდა ზოგჯერ სწორი გზით არ მიდის. ამას გამო უიდეობა აშკარად იკიდებს ფეხს ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის (ლ. ასათიანი, იმედაძე და სხვ.) შემოქმედებაში. „ჩვენი თაობაც“ უკრიტიკოდ ბეჭდავს უშინაარსო ლექსებსა და პროზას.

კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივნის მოხსენებამ აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა, მწერლებმა და კრიტიკოსებმა ი. გრიშაშვილმა, ლ. ქიაჩელმა, ლ. ასათიანმა, კ. ჭიჭინაძემ, ს. თავაძემ, დ. შენგელაიამ, დ. ბენაშვილმა, მ. ბარათაშვილმა, ი. ლისაშვილმა, ა. ჭეიშვილმა, ა. თევზაძემ, ს. ეულმა, ვ. წულუკიძემ, კ. გამსახურდიამ, ბ. ჟღენტმა და ი. სიხარულიძემ.

მწერალთა მუშაობის მთავარ ნაკლად ბევრმა სამართლიანად აღიარა ის გარემოება, რომ თანამედროვეობას მთავარი ადგილი არა აქვს დათმობილი ჩვენს ლიტერატურაში. მწერლების საგრძნობი ნაწილი არ სწერს თანამედროვეობაზე, არ იცნობს საფუძვლიანად სინამდვილეს, რის გამო სრულყოფილად ვერ ასახავს მის წამყვან ძალას — სტახანოველებს და მოწინავე ადამიანებს.

ზოგიერთი ნაწარმოების დაბალ მხატვრულ ღირსებაზე უსაყვედურეს დ. შენგელაიამ და კრიტიკოსმა დ. ბენაშვილმა შ. დადიანსა და ს. შანშიაშვილს. მთელ რიგ შესანიშნავ ნაწარმოებთა შემდეგ, როგორიცაა „ნაპერწკლიდან“ და სხვ., შ. დადიანმა მოგვცა მხატვრული ღირსებით სუსტი პიესები—„ბარათაშვილი“, „პუშკინი საქართველოში“ და ბოლოს „მოლა მასრადინა“.

მწერალთა ერთი ნაწილი, გაურბის რა თანამედროვეობას, ნაკლებ წინააღმდეგობის გზას ირჩევს და უმთავრესად ისტორიულ თემებზე სწერს.

კამათში გამოსულებმა აღნიშნეს ისიც, რომ ბევრ კარგ პოეტურ ნაწარმოებთან ერთად გვაქვს ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც მეტად სქემატიურნი და უფერულნი არიან. ბევრ ეპიკურ თხზულებას აკლია კარგად დამუშავებული სიუჟეტი. დ. ბენაშვილის აზრით, ასეთია გ. ლეონიძის „ფორთოხალა“, ს. თავაძის „გმირთა დიდება“ და სხვ.

კ. ჭიჭინაძემ უსაყვედურა კრიტიკას ცალმხრივობა. მისი აზრით არიან მწერლები, რომელთაც კრიტიკისაგან ქების მეტი არაფერი სმენიათ.

კ. გამსახურდია შეეცადა თავისი მცდარი დებულების დაცვას ისტორიული რომანის საკითხში და ამავე დროს არაფერი სთქვა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენას“ მცდარი კონცეპციის შესახებ, რაზედაც მას სამართლიანად მიუთითებდა მომხსენებელი.

თითქმის ყველა მოკამათენი აღნიშნავდნენ, რომ მხატვრულმა კრიტიკამ აუცილებლად უნდა გარდაჰქმნას თავისი მუშაობა. კრიტიკოსები (დ. ბენაშვილი, ვ. წულუკიძე) მოითხოვდნენ, რომ ამ საქმეში მათ საქმიანი დახმარება გაუწიონ მწერლებმა, რომლებიც ხშირად სამართლიან შენიშვნებს პირად შეურაცხყოფად ღებულობენ.

კრიტიკის საქმიანი დახმარების საჭიროებას მოწმობდა აგრეთვე ახალგაზრდა მწერლების ლ. ასათიანის, მ. ბარათაშვილის, ა. თევზაძის გამოსვლები.

ზოგიერთ მოკამათეთა (ი. ლისაშვილის, ა. ჭეიშვილის, ს. თავაძის) გამოსვლები მოკლებული იყვნენ კონკრეტულობას. ისინი შემოიფარგლენ უმისამართო კრიტიკით.

ლ. ქიაჩელმა თავისი გამოსვლა მოანდომა თავისმართლებას იმ უმართებლო რეკომენდაციის გამო, რომელიც მას მიუცია ერთი ავტორის სუსტი ნაწარმოებისათვის, რაზედაც მიუთითა მას მომხსენებელმა.

ამხ. ბესო ჟღენტმა აღნიშნა, რომ ჩვენს მწერლობას ენერგიული მუშაობა მართებს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მოწინავე ადგილი საბჭოთა ლიტერატურაში.

მან ილაპარაკა თანამედროვე ქართული პროზისა და დრამატურგიის ნაკლოვანებათა შესახებ, აღნიშნა, რომ მთელ რიგ ნაწარმოებებში ჩვენი ცხოვრების დადებითი გმირები არატიპიური პერსონაჟების ჩრდილში არიან დაყენებულნი (ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, დ. შენგელაიას ნაწერები), ადგილი აქვს ხელოვნურ არარეალურ სიუჟეტებს (ს. თავაძის პოემები), მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითი ნაკლოვანებების შესახებ და გააკრიტიკა მწერალთა კავშირის და მისი სექციების ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობა შემოქმედებითი მუშაობის დარგში.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ი. თავაძე. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთმა ჩვენმა მწერალმა საკმაოდ ვერ შეაფასა ხელმძღვანელი ორგანოების უკანასკნელ დადგენილებათა მნიშვნელობა და ვერ შეიარაღდა იდეურად იმისათვის, რომ ეპოქის ღირსი მხატვრული ნაწარმოები მოგვცეს.

ამხ. ი. თავაძე შეეხო ლიტერატურული ჟურნალებისა და გაზეთის მუშაობას და აღნიშნა, რომ ისინი მოწყვეტილი არიან თანამედროვეობას. „ჩვენს თაობაში“, მაგალითად, უკანასკნელ ხანებში თანამედროვე თემაზე არაფერი დაბეჭდილა. ჟურნალი ბეჭდავს იდეურად სუსტ ლექსებსა და პროზას, რომლებშიაც ვერც კი გაიგებ, რისი თქმა სურს ავტორს. ასეთი უიდეო, დაბალი მხატვრული დონის ლექსების ავტორები რატომღაც ყოყოჩობენ, მაშინ, როცა საყოყოჩო არაფერი აქვთ. ეს შეიძლება იმითაც აიხსნება, რომ კრიტიკოსები გადაჭარბებით აქებენ მწერლებს. ჩვენი მწერლების მუშაობა, მათ შორის საუკეთესო მწერლებისაც, უნდა გავატაროთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ქარცეცხლში. ეს დაეხმარება მათ შემოქმედებითს მუშაობაში. ამხ. ი. თავაძემ აღნიშნა ერთგვარი გაუმჯობესება ზოგიერთი კრიტიკოსის მუშაობაში. მაგრამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩვენი კრიტიკა ჯერ კიდევ არ არის ბოლშევიკურად გაბედული, პრინციპული, რომ ჩვენმა კრიტიკოსებმა და მწერლებმა კრიტიკა უმაღლეს საფეხურზე უნდა აიყვანონ.

დასასრულ ამხ. ი. თავაძემ დასახა მთელი რიგი ამოცანები, რომლებიც მწერალთა კავშირის წინაშე დგას მწერლის შემოქმედებითი მუშაობის გადახალისების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მწერლების პოლიტიკურ აღზრდას, მათ მიერ ბოლშევიზმის დაუფლებას.

მწერალთა საქალაქო კრება დაიხურა ამხ. ი. აბაშიძის საბოლოო სიტყვით.



ამხანაგი **სტალინი** ესაუბრება პოლიტპატიმრებს ქუთაისის ციხეში (1903 წ.)
მხატვ. ბაჟბეუკ-მელიქოვის ნახატი.

კარლო კალაძე

კობასთან ერთად

1903 წელი. ოქტომბერი. ქუთაისის ციხე.

I. *)

შორს ელგუჯაც ეხლა უკვე
მიტოვებულ ხესთან მდგარი,
მკლავს გაშლის და ჯაშის
გულმკერდს
ჰფარავს მისი ცალი მხარი.
მიაჩერდა ჯაში ხარბად,
ჩუმი გული აუძგერდა:
— ახ, ვინ იყო შავ თვალწარბა
და ელგუჯას რად უცქერდა!..
როგორც ვიწრო ყური ნემსის
განაბული იცდის ჯაში —
თვითეული სიტყვა ესმის
და სულისთქმა ელგუჯასი:
— ჰო. მანამ დამინახა,
და მის ღიმილს ვუპასუხე.
თურმე იგი ლანდი ახლავს,
სულივით რომ ძრწოდა წუხელ,
არ ვიცოდი და ხელახლა
უნებლიეთ შევაწუხე...

II.

— თუნდ შავი ზღვის ველურ
ღელვად
გაზვიადდეს ღელვა მისი,
ოღონდ აგრე შეუმჩნევლად
მოვიაროთ ქუთაისი! —
თქვა ჯაშმა და ჩაიცინა,
თან ბეჭებზე დაჰკრა ხელი,
გზა წინდაწინ აირბინა
მთის ფერდობზე ასასვლელი.
ვერ ახარებს ენა მჭევრი
ხევებს, ცისქვეშ გასახარელთ!..
სდუმს მუხნარის დიდი ტევრი,
განდგომილი ქალაქგარეთ.
სდუმს ელგუჯაც. განუყრელი
ფიქრი წაშლის წამით ხალისს...
ჩუმად მიდის ამბის მთქმელი,
სიკვდილივით მიიჩქარის, —
რომ შეაღოს შემკრთალ ხელით
დასალეწი რკინის კარი!

III.

ვის რა უთხრას, რა ახაროს,
როგორ შესძლოს მათ წინ
დგომა,
თავი როგორ არ დახაროს,
როცა წარბებს შეჰყრის კობა!
გადაუდგნენ გზად მუხებიც.
რა უამბოს გულისხმიერთ?
თითქოს დგანან დამწუხრებით,
დარაზმულნი კობას მიერ.
აუმართავთ სიძულვილით
კორძიანი ხელი მტკიცედ, —
რომ მთავრობას ყოველ დილით
შეუთვალონ: გავიფიცეთ!
თავისუფლად სუნთქვა სურდათ,
სჩანს ფოთლების სულისთქმაში, —
მზე დაჰნათის დანისლულთაც
ხმა აღვიძებთ ელგუჯასი, —
— ფიქრი იქნებ აგისრულდა,
ჯარს გაუძეხ! — ამბობს ჯაში.

IV.

— ფიქრი მართლაც გამოიცან.
ჩუმი გულის წყრომით სავსე
ეგ მუხების ჯარი, ვფიცავ,
მეც ვაჟკაცებს მივამსგავსე.
ვფიცავ როგორც ჯარისკაცი:
ტყვეობიდან ვიხსნა ბრძოლით,
ფოლადივით მტკიცე, მკაცრი,
ერთადერთი წინამძღოლი!
მისი სუნთქვით ჩრდილნი
თრთოდნენ,
ღიმილს ჰქონდა ელვა ხმლისა.
მას შეეძლო მარტოოდენ
ხმით აღეძრა გული ზღვისა!..
იმის თვალთა ნაპერწკალი
სურდათ ბნელში დაემწყვდიათ!
მაგრამ, იგი მეტის ძალით
წაეკიდა თვითონ წყვდიადს! —
დროშებივით აღსდგა ალი,
ჰგავდა ახალ მზის განთიადს!

V.

ქარხნის ოცდათორმეტ მუშას
თავს დაესხნენ წინაღამით.
კობას უთქვამს: — არა უშავს!..
შეიკრიბნენ იმავ წამით.
მივიდნენ და მოითხოვეს
დაისაჯონ მათთან ერთად.
ფერდაკარგულ მეციხოვნეს
ასი თვალი მიაჩერდა
და როდესაც მან სავსებით
ეს მოთხოვნა აასრულა, —
მაშინ ჩვენი ათასები
წინ წამოდგნენ დარაზმულად!
ხალხს ციხეში ვინ ჩაჰკეტავს? -
წარღვნა როგორ აიცდინოს!
არ აღეძრა იგი ნეტავ,
ხმის ჩახშობას ეხლა ცდილობს.
და ლაჩრულად გაგვიმეტა
სასიკვდილომ სასიკვდილოდ!..

VI.

შენ ღელვა უნდა გენახა,
სიმშვიდე რომ არ იღირსა, —
გვინდოდა გადაგველახა
მაღალი ზღუდე ციხისა...
ვლეწავდით რკინის ურდულებს
ქვებით, შიშველი ხელებით!
და გაგვირბოდნენ ქურდულებრ
ციხის ბედკრული მცველები.
ვიდოდა ხალხის ქუხილით
წინ ელვა წინამძღოლისა, —
სიხარული და წუხილი,
მმართველი მისი ღონისა...
ხმა მთელმა ციხემ გაიგო,
დრო საამბოხოდ იხელთა! —
ბორკილის მტვრევის ხმა იყო,
გასტეხეს ბნელი ციხე და
გულის კარებიც გაიღო,
თვალებმა გამოიხედა!...

VII.

მაშინ კი შურისძიებით
გაისმა განკარგულება,
და დაგვიშინეს ტყვიები
თვალთაგან დაკარგულებმა!
ყიჟინით შემოგვესია
რაზმები ყაზახებისა! —
ტყვიაზე უმკაცრესია
ელვა ცხენოსანთ ხმლებისა...
ვიდექ ხალისით სავსე, და
ხედავ ვერაგის ნატყვიარს? —
მარჯვენა ბეჭის ძვალზედაც
მგლის ნაკბენივით მატყვია...
გულის გმირული გაწირვა
უფრო აღვიძებს მტრობასა, —
ვგრძნობდი დაჭრილი კაცი ვარ,
ვერ ვახერხებდი დგომასა...
მაგრამ ხელთ აუტაცივარ
სიკვდილზე უმალ კობასა!..

VIII

ის, ჩემი კვნესის გამგონე,
ჩემდა საშველად გარჯილა...
არ დაუშურავს ძალღონე,
გათელვას გადამარჩინა!
ჩემში მისი ხმა მკვიდრდება,
ის ჩემი ხალხის გულია! —
და ნურვის გაუკვირდება
მას ვეკუთვნოდე სრულიად...
თუმცა მოჰკვეთეს ცხოვრებას,
კარები გადაუკეტეს! —
ბნელს მაინც შეებრძოლება,
ოცნებით სწვდება უკეთესს!
მას ციხის ვიწრო საკანით
ვერ დააბრკოლებს ვერავინ, —
კვლავ ერთი სარკმელთაგანი
სჩანს შუქით ბნელის მსერავი!..
ვდარაჯობ თვალის კანკალით
როგორც ვარსკვლავი მზვერავი!..

IX.

ეთანხმებოდნენ მგზნებარედ
ელგუჯას ჯაშის თვალები, —
წამწამნი გადმოეფარნენ
ჩაფიქრდნენ იდუმალებით...
ხმა ელგუჯამაც გაკმინდა.
მდუმარედ გაჰყვნენ შარა გზას.
დიდი მუხნარის ნაპირთან
ქუდი უჩანდა ქალაქსაც.
გზას დაჰფენოდა ფარჩები,
ოქრო ქსოვილი დილისა, —
ვიდოდნენ გრძელი ლაჯები
შორით გატყორცნილ ჩრდილისა!
შორს მდელო სჩანდა პატარა
ფერად-ფერადი ხალებით! —
ბოლოს: სად იყო სად არა —
მივიდნენ მიმავალები,
ნახეს: მდელოზე დამსხდარან
გზისპირად სოფლის ქალები, —

X.

შეკრთნენ მგზავრების დანახვით
სხედან. ხმა გაუკმენდიათ.
წყლით, ნაწვიმარი ბალახით
წვივები დაუწმენდიათ!
გადმოვლეს მინდორ-ველები
სწრაფვა კი ისევ გულთ არის! -
ქუსლმაღალ ფეხსაცმელებით
უნდათ ესტუმრონ ქუთაისს...
ხმა შემოესმათ დამალეს
თეთრი მუხლები კაბითა,
ერთმანეთს გადააბრალეს,
მიყუჩდნენ იმავ წამითა...
ერთი, წარბ აუმართავი
გოგონაც იჯდა ქალებთან.
მგზავრებს, ვით სავსე თავთავი,
თავდახრით უთვალთვალებდა,
ხელთ ფუთა ჰქონდა. ქათამი
კალთაში უფართქალებდა.

XI.

მდუმარებით ჩაიარა
მათ წინ ჯაშმა და ელგუჯამ.
მესერებს იქეთ შეიფარა
ქუთაისის ვიწრო ქუჩამ.
გზად ბალნარი ტოტებს შლიდა
მკლავგაწვდილი აივნამდე! —
თავის ქერა ულვაშითაც
სიმინდები ხშირად სჩანდენ
და მგზავრებმა მიამსგავსეს
აზნაურებს, ერთის ნახვით —
იმერულად მაღალ მხარზე
გადაგდებულ ჩაბალახით!
მისდევს მესერს ქვაფენილი,
რუც გზად იქვე მიიჩქარის! —
ქუჩის ფანარს მზიან დილით
სვეტზე არხევს ქროლვა ქარის,
ჩაუქრობლად დარჩენილი
იწვის როგორც დისკო
მთვარის...

XII.

აქ ელგუჯა ერთის წამით
შედგა. რიონს გადახედა.
თვალი გაჰკრა ელვასავით,
ხმით არაფერს არ ამხელდა.
მხოლოდ ეს კი დაიბარა:
— ვაი მათი ბედის ბრალი,
კვლავ თუ აგრე დაიფარა
ჩვენი ფეხის ნატერფალი!
თვალი აგცდეს ქალაქისა,
გზად ლანდები
გმფარველობდნენ! —
მხოლოდ გვიან, მზის ჩასვლისას
ჯაჭვის ხიდთან დამელოდე.
გაღმა ჩემი სოფელია,
არ იქნება გასვლა ძნელი,
შინ უთუოდ მომელიან,
მე ვარ შენი მასპინძელი! —
თქვა, ღიმილი მოერია
და გაუშვა მკლავში ხელი.

XIII.

— „ციხის ქვა და რკინა ცივი
თითქოს ღამით გაიყინა.
და უცრემლოდ ვაჟკაცივით
მდუმარებდა ქვა და რკინა!
ძირს ეყარნენ პატიმრები,
როგორც მოთხრილ კუნძთა
გროვა.
მიცქეროდნენ ჩაფიქრებით,
საზარელი იყო გლოვა.
მე გელაძის გვარით მიველ,
თითქოს დედის ნათესავი, —
უნებლიეთ გავაღვივე
ჯავრი ჩამქრალ ნათელსავით...
წაჰყოლია შორით წყვდიადს
კეცხოველის მძიმე კვნესა! —
პატიმართაც შეუტყვიათ
თოფის ხმაზე უსწრაფესად —
მოხვედრია გულში ტყვიათ
ციხეს, მათებრ მდუმარესა...

XIV.

მეციხოვნე მოგვაცქერდა
განგებ ნიშნის მოგებითა.
ყელთან სისხლის ძარღვი ძგერდა
მწუხარებით დახშულ ხმითა! —
გულს გვიკლავდა მტერი
ლხენით,
მაგრამ ადგა ჯულაშვილი, —
გადისწორა მღელვარ ხელით
თმები, შუბლზე ჩამოშლილი!
ამოითქვა მხოლოდ: „არა“.
ველით. მაჯა მძიმედ გვიცემს...
მტერს შესძახა: — არ მომკვდარა,
და ისევე გაიღვიძებს!..
მან ასწია წარბი მარდათ,
მხნე სიმღერით აჰყვა ასი,
(სასიმღეროდ აიმართა
ხელი ძუკუ ლოლუასი)
და წამოდგა პატიმართა
ნაცვლად სულით მტკიცე
კლასი!..

XV

გამარჯვების ძალას ვგრძნობდი,
შევხაროდი მეც გაბედავთ...
გსურდა კობას გასცნობოდი, —
დღეს გენახა იგი ნეტავ!
— ჩემთან უფრო ახლო იყო! —
თქვა ჯაშმა და მერე უხმოდ
ვულჯიბიდან ამოიღო
თან სურათი, საპასუხოდ.
მთის ბილიკზე უნებურად
უცებ შედგა ორივ ერთად,
და ელგუჯა მხოლოდ სურათს
დაჟინებით დააჩერდა:
ბოლოდახრილ შავწარბებით
იყო მტერთა შემმუსრავი,
ლაწვებსა და ნიკაპს ქვევით
ემჩნეოდა წვერი შავი.
სამკერდულთან ყელსახვევიც
სჩანდა როგორ ვეფხის ტყავი!..

XVI.

— რაო, განა კობას არ ჰგავს?
რას მდუმარებ. რას დაეჭვდი!
ბეჭედივით, ხედავ, ახლავს
მისი თითის ანაბეჭდი.
— რომელ კუნჭულს არ მიაგნებ
გაწაფული კაცი ყოვლად!
„— ერთი ვინმე არის განგებ
აქ ჟანდარმთა თანამშრომლად, —
დავალება შემისრულა
და ბინაზე მიიტანა,
მეც დავავლე ხელი სურათს,
დავიკარგეთ ბინიდანაც“.
ჯაშს ბავშვივით უხაროდა,
ელგუჯამაც გაიცინა.
მთაზე უგზო-უკვალოთაც
მიიწევდნენ სწრაფად წინა, —
ხევებს იქეთ სჩანდა ოდა
ბუდესავით პაწაწინა...

XVII.

რა სთქვა?.. რაა უმთავრესი!..
ეკითხება ისევ ჯაში.
და პასუხად მხოლოდ ესმის
ამოსუნთქვა ელგუჯასი.
— ვერ გაუმხელ გულსაც თუნდა
უგულობად ჩამითვალონ.
ჩვენს ხელმძღვანელ სამეულთან
უხმოდ უნდა ჩავიტანო.
— აგრე იყოს. არ გაქეზებ...
გულისტკენით იწყებს ჯაში,
მაგრამ... შედგა ალაგზე
ელგუჯა და იმავ წამში
იქვე ოდის ლაფარედან
გამოფრინდა კიდეც ქალი,
ქმრის მოსვლა თუ ახარებდა,
ენთო როგორც ნაპერწკალი —
მიწას ფეხს არ აკარებდა
მკლავგაშლილად მომავალი...

---

*) ერთი თავი რომანიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბერძნეთ-იტალიის ომი

ლიუბოინა (იუგოსლავიის საზღვარზე), 14 ნოემბერი (საკდესი). მას შემდეგ, რაც 12 ნოემბერს ქვემეხების ძლიერი სროლა იყო და იტალიის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ საბერძნეთის პოზიციებს, გუშინ კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა. ბერძნებმა დაიხიეს იმ პოზიციებზე, რომლებიც საბერძნეთ-ალბანეთის საზღვრის მახლობლად მდებარეობენ. იტალიის ორი თვითმფრინავი კვლავ უშენს ყუმბარებს ხიდს რომელიც დიდ და პატარა პრესპის ტბებს აკავშირებს, რათა ხელი შეუშალონ საბერძნეთის ჯარის მოწინავე ნაწილის მომარაგებას იარაღითა და საკვები პროდუქტებით. 12 ნოემბერს ამ ხიდს 50-ზე მეტი ყუმბარა დააყარეს.

ალბანეთის მესაზღვრე ნაწილებმა დასტოვეს თავიანთი პოზიციები ალბანეთ-იუგოსლავიის საზღვარზე და გამოურკვეველი მიმართულებით დაიხიეს.

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი (საკდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის“ გადმოცემით, 12 ნოემბერს ვალონაში ჩავიდა იტალიის 8 გემი, რომლებმაც, როგორც სჩანს, დიდძალი მაშველი ჯარი ჩაიყვანეს.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, მესარიის რაიონში, ბერძნებმა მოჰკლეს 42 და დასჭრეს დაახლოებით 100 იტალიელი. ორი იტალიელი ოფიცერი და დაახლოებით 50 ჯარისკაცი ტყვედ წაიყვანეს. ხელთ იგდეს 3 ტყვიამფრქვევი და 1 ტანკი. ბერძნებს მოუკლეს 18 და დაუჭრეს 40 კაცი.

საბერძნეთისა და ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს დურაცო-არგიროკასტრონის გზას. ყუმბარები დააყარეს შემდეგ ქალაქებს: არგიროკასტრონს, ტეპელენეს, ბერატს, ლუშნიესა და დურაცოს. ბერატში მოკლულია 20 და დაჭრილია 60 კაცი. დანგრეულია 6 შენობა. დურაცოს ბომბარდირების დროს ცეცხლი გაუჩნდა ნავთსაცავს და დაზიანდა იტალიის გემი.

იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს იანინს და რამდენიმე სოფელს. მოკლულია 50 და დაჭრილია 140-ზე მეტი კაცი.

ლონდონი, 14 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ოტრანტის სრუტეში ინგლისის გემები თავს დაესხნენ იტალიის გემების ქარავანს, რომელიც 4 ტრანსპორტისაგან შესდგებოდა, და რომელსაც ორი საესკადრო ნაღმოსანი მიყვებოდა. ერთი ტრანსპორტი ჩაძირულია, სხვა ორი ტრანსპორტს ცეცხლი გაუჩნდა. მეოთხე გემი დაზიანდა, მაგრამ კვამლის საფარის დახმარებით მიიმალა. აგრეთვე დაზიანდა ერთერთი საესკადრო ნაღმოსანი. ინგლისის გემები არ დაზიანებულან.

საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ათენი, 14 ნოემბერი (საკდესი). საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ გუშინ საბერძნეთის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს კორჩის აეროდრომებსა და მოსპეს იქ მდგომი დიდძალი თვითმფრინავი, ყუმბარები დავაყარეთ აგრეთვე მტრის ჯარის განლაგების ადგილებს.

ქვეყნის შიგნით მტრის ავიაცია თავს დაესხა ქალაქებსა და სოფლებს, რომლებსაც არავითარი სამხედრო მნიშვნელობა არა აქვთ. მოკლული და დაჭრილია რამდენიმე კაცი.

პინდის მთების რაიონში წარმატებით ჩატარებული შეტევის შედეგად საბერძნეთის ჯარმა ახალი სიმაღლეები დაიკავა ალბანეთის ტერიტორიაზე.

მტრის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა არგოსტოლიონს, კეფალინიის კუნძულზე, სადაც ერთგვარი მსხვერპლი გამოიწვია. მტრის ავიაცია თავს დაესხა აგრეთვე ლეფკასის კუნძულსა და ორ სოფელს პელოპონესში. მსხვერპლი და ზარალი არ ყოფილა.

საომარი მოქმედება ჩინეთში

სამხრეთ ჩინეთში. გუანდუნას პროვინციის სამხრეთ-დასავლეთით ჩინელებმა გააფთრებული ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ქალაქი ცინჯოუ, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იაპონელებს ეჭირათ.

გუანსის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იაპონიის ჯარი კვლავ გადავიდა შეტევაზე ჩინანგუანის რაიონში. ბრძოლას გააფთრებული ხასიათი აქვს.

ხაინანის კუნძულზე აღნიშნულია იაპონიის ჯარის კონცენტრაცია. არსებული ცნობებას თანახმად, ამ კუნძულზე იაპონიის ორი ქვეითი დივიზია ჩავიდა. სულ კუნძულზე არის იაპონიის დაახლოებით 3 დივიზია.

ცენტრალურ ჩინეთში. ძიანსის პროვინციის ჩრდილოეთით ბრძოლა სწარმოებს ანიას რაიონში, სადაც ჩინეთის ჯარმა იაპონელები მთელი რიგი პუნქტებიდან განდევნა.

ხენანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩინეთის ჯარი დევნის იაპონელებს სინიანის მახლობლად. ჩინეთის ჯარის ცალკეული რაზმები ქალაქის კარებს უახლოვდებოდნენ. ჩრდილოეთ ჩინეთში არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

14 ნოემბერი (საკდესი).

სამოქალაქო ურჩობის კამპანია ინდოეთში

ლონდონი, 14 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინდოეთში ფართოვდება სამოქალაქო ურჩობის კამპანია. განდიმ მეფის მოადგილეს გაუგზავნა განცხადება იმის შესახებ, რომ კონგრესის 1.500 წევრი განაგრძობს ომის საწინააღმდეგო საქმიანობას, სანამ მათ არ დააპატიმრებენ. განდის მიერ წარდგენილ სიაში შეტანილი არიან კონგრესის თვალსაჩინო წევრები, პროვინციალურ მთავრობათა ყოფილი მინისტრები, ცენტრალური საკანონმდებლო კრების წევრები.



ფოთი. წისქვილკომბინატი ერთერთი დიდი ნაგებობაა ახალი კოლხიდის მიწაზე. **სურათზე:** წისქვილკომბინატის საერთო ხედი.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქტესის ფოტოქრონიკა).

სახანძრო დაცვისა და მოსახლეობის უახლოესი ამოცანები

შემოდგომა უკვე გადის და მალე დადგება ზამთარიც, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებით ყურადღებიან მომზადებას და გათბობის ხელსაწყოთა შესაძლო დეფექტების გამოსწორებას.

გათბობის ხელსაწყოთაგან ცეცხლის გაჩენის თავიდან აცილებისათვის საჭიროა სახანძრო დაცვის მთელი ძალების მობილიზაცია, რათა დარჩენილი დროის განმავლობაში ჩატარდეს მათი წესიერი მდგომარეობის შემოწმება და ყველა გამოვლინებული დეფექტი გამოსწორდეს სიცივეების დადგომამდე. რა კარგადაც არ უნდა იყოს მობილიზებული შესამოწმებლად სახანძრო დაცვის მთელი ძალები, ეს საკმარისი არ იქნება. საჭიროა, რომ ამ მუშაობაში ჩაებას ყველა კოლმეურნე, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, ხელმძღვანელები, მსხვილი ქარხნებისა და ფაბრიკების დირექტორები და დიასახლისები.

ზამთრისათვის მზადების პერიოდში საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ჰიდრანტები, სახანძრო ონკანები, ცეცხლმქრობები, წყლის სხვადასხვა წყაროები და სახანძრო ტუმბოები იყინება, თუ ისინი მოთავსებული არიან ისეთ სადგომებში, რომლებიც არა თბება.

შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი ფაქტი, როდესაც ხანძარს მიუღია საშიში სახე და სწრაფად გავრცელებულა ჰიდრანტების, ცეცხლმქრობების, ტუმბოების და სხვ. გაყინვის გამო.

ასეთ ფაქტებს რომ ადგილი არ ჰქონდეს, სახანძრო რაზმებისა და სამრეწველო საწარმოთა, ქალაქებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების მოხალისე სახანძრო რაზმეულების ამოცანაა, სიცივეების დადგომასთან დაკავშირებით, გაყინვის შესაძლებლობის თავიდან აცილება წყლის ყველა წყაროს დათბუნების მოწყობის გზით.

დასათბუნებელ მასალად შეიძლება გამოყენებულ იქნას წიდა, მიწა, თიხა და სხვ. ან ნახერხისა და კირის ნარევი, გზენარევი თიხის ხსნარი, ფოთოლნარევი მიწა და სხვ.

გათბობის მუდმივი ხელსაწყოებისაგან ხანძრის გაჩენის შესაძლებლობის თავიდან აცილებისათვის საჭიროა მილ-ღუმელების ტრესტების, რაზმების საშუალებით ჩატარდეს კვამლსადენების შემოწმება, მათი გაწმენდა ჭვარტლისაგან და დაუყოვნებლივ ამოილესოს აღმოჩენილი ბზარები და შეკეთდეს ჩამონგრეული ადგილები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძგიდეებს კვამლსადენებსა და შენობის ხის ნაწილებს შუა.

ჭერში კვამლსადენები შეთეთრებულ უნდა იქნას ბზარების უკეთ აღმოსაჩენად.

ზამთრის პერიოდში ხანძრის მხრივ განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს რკინის დროებითი ღუმელები, რომლებიც იდგმება სახანძრო უშიშროების წესების დაუცველად.

რკინის არცერთი ღუმელი არ შეიძლება დაიდგას, ვიდრე მას წინასწარ არ შეამოწმებენ სახანძრო დაცვის მუშაკები, და რკინის ღუმელის ექსპლოატაციის დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დაცული იქნება მისი დადგმისათვის საჭირო ღონისძიებანი და მიღებული იქნება ნებართვა გახურებისათვის. ღუმელების წინ ხის (ცეცხლის გაჩენის მხრივ საშიშ) იატაკებზე დაკრულ უნდა იქნას რკინის ფურცლები.

აკრძალულია ღუმელებთან ადვილაალებად ნივთიერებათა დადგმა, ღუმელებზე გასაშრობად საცვლების, ტანსაცმლის და სხვა ისეთი მასალის გადაკიდება, რასაც ადვილად უჩნდება ცეცხლი, ღუმელებში და გახურებული ღუმელების მახლობლად შეშის შრობა.

ღუმელებს უნდა ანთებდნენ მხოლოდ განსაზღვრული პირები (ცეცხლფარეშები, დარაჯები, დამლაგებლები), რომლებსაც წინასწარ უნდა გაეწიოთ სათანადო ინსტრუქტაჟი.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ანთებული ღუმელების უმეთვალყუროდ დატოვება.

სასწავლებლებში ღუმელების ანთება უნდა თავდებოდეს მეცადინეობის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მაინც.

აკრძალულია ღუმელის ანთება ნავთით, ბენზინით და სხვა საწვავი სითხეებით.

აკრძალულია კვამლსადენებად და სხვა გასახურებელი ხელსაწყოებისათვის სავენტილაციო მილების გამოყენება.

ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების არსებული წესების დაცვით და ამ მუშაობაში, განსაკუთრებით გათბობის ხელსაწყოებზე მუშაობაში, მოსახლეობის ფართო მონაწილეობით მივაღწევთ გათბობის ხელსაწყოთაგან ხანძრის გაჩენის მიზეზების ლიკვიდაციას.

საქ. სსრ შსსკ სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი
ფავლენიშვილი

ორგანიზებულად დავამთავროთ რემედასის საწევრო ბილეთების გამოცვლა

ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა საწარმო-დაწესებულებაში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და სკოლებში დიდი ხალისით მუშაობენ რემედასის პირველადი ორგანიზაციების მუშაკები ძველი საწევრო ბილეთების ერთიანი ნიმუშის ახალ ბილეთებზე შესაცვლელად, რემედასულ მეურნეობაში ბოლშევიკური წესრიგის დამყარებისა და რემედასის ორგანიზაციის შემდგომი ზრდისათვის.

ამ მხრივ რემედასული მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან რემედასის მთელი რიგი ორგანიზაციები. მაგალითად, თბილისის მე-31 საშუალო სკოლაში რემედასის ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს მასწავლებელი თამარ ეღენტი, კარგად მუშაობს. აქ არის რემედასის მშვენივრად გაფორმებული კუთხე და ყოველდღიური რემედასული კედლის გაზეთი. აღნიშნული სკოლის რემედასის ორგანიზაციას ჰყავს მოწინავე აქტივისტები, ამკრეფ-ორგანიზატორები, აგიტატორები, რომლებიც სისტემატურად ატარებენ საუბარ-ლექციებს და რემედასული ლიტერატურის ხმამაღლა კითხვას. ასეთი მუშაობის შედეგად სკოლაში არ დარჩენილა არცერთი კაცი, რომელიც რემედასის ორგანიზაციის წევრი არ იყოს. რემედასის ორგანიზაცია აქ 557 წევრს ითვლის. რემედასის საწევრო ბილეთების გამოცვლაც დამთავრებული იყო 13 ოქტომბრისათვის.

თბილისის ბერიას სახელობის რაიონში სახბანკის განყოფილების რემედასის ორგანიზაციაც მუშაობის კარგ ნიმუშებს იძლევა. ამ ორგანიზაციას მიმდინარე წელს ჩატარებული აქვს რემედასელთა საერთო კრება 5-ჯერ, ბიუროს სხდომა—8-ჯერ, ხოლო მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე—3-ჯერ.

ამკრეფ-ორგანიზატორები, აგიტატორები: ამხ. დ. იაკოვლევი, ი. ბაღდასაროვა, ლ. არზუმანოვა, ფ. მიხელაშვილი, ს. ტერ-ხაჩატუროვა, რ. ინასარიძე, კ. არუთინოვა, მ. ტატიშვილი სისტემატურად ატარებენ საუბრებს ინტერნაციონალურ თემებზე. პირველადი პარტიული ორგანიზაცია ეხმარება რემედასის ორგანიზაციას საწევრო ბილეთების შეცვლის საქმეში.

მაგრამ არიან რემედასის მთელი რიგი პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც ამ მუშაობის შეუფასებლობას იჩენენ და დღემდე არ არიან მომზადებულნი საწევრო ბილეთების შესაცვლელად.

მაგალითად, თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა 300-იანი კოლექტივიდან რემედასის რიგებში ითვლება მხოლოდ 120 ამხანაგი, რომელთაც საწევრო გადასახადის დავალიანება თუმცა არა აქვთ, მაგრამ ინტერნაციონალურ-აღმზრდელობით მუშაობაზე არავინ ფიქრობს: არ ტარდება ლექციები და მოხსენებები რემედასულ თემებზე. რემედასის წევრებისათვის არ გაუცვნიათ ინსტრუქცია საწევრო ბილეთების გამოცვლის შესახებ. ყოველივე ამას კარგად ხედავენ ფაბრიკის პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციები, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ.

სატრიკოტაჟო კომბინატი (ღრმა-ღელეში) ერთერთი მნიშვნელოვანი საწარმოთაგანია, მაგრამ აქ რემედასის ორგანიზაციას დღემდე არ გაუშლია მუშაობა საწევრო ბილეთების გამოცვლისათვის.

კიდევ მეტი. წიგნაკების გამოცვლის საქმის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ ავტოსარემონტო ქარხნის რემედასის ორგანიზაციაში.

მეორე სამკერვალო ფაბრიკაში 850-მდე კაცი მუშაობს. რემედასის წევრთა რაოდენობა 450-ს არ აღემატება და დღემდე რემედასის რაიკომში რემედასის ორგანიზაციას წარდგენილი აქვს გამოსაცვლელად მხოლოდ 160 საწევრო ბილეთი.

ბამბის ფაბრიკაში 300-ზე მეტი კაცი მუშაობს. აქედან რემედასის რიგებში 120 ამხანაგი ირიცხება, ხოლო რემედასის ორგანიზაციამ გამოსაცვლელად რაიკომს მხოლოდ 80 წიგნაკი ჩააბარა.

საჭიროა რემედასის ჩამორჩენილმა ორგანიზაციებმა მუშაობის გამოცდილება გადაიტანონ მოწინავე ორგანიზაციებიდან და ისე წარმართონ მუშაობა, რომ რაც შეიძლება ორგანიზებულად და სათანადოდ ჩაატარონ რემედასის საწევრო ბილეთების გამოცვლა.

დ. ჯღარკავა.

გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბიბლიოთეკა

გორი, 15 ნოემბერი (საქტესი). გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბიბლიოთეკას 2.000-ზე მეტი ტომი წიგნი აქვს. წიგნის ფონდის შესავსებად მუზეუმმა შეიძინა მწერალ ს. მგალობლიშვილისა და საზოგადო მოღვაწის ა. გარსევანიშვილის ბიბლიოთეკები, რომლებშიც ბევრი უნიკალური და ძვირფასი წიგნი მოიპოვება. მუზეუმმა აგრეთვე შეიძინა გაზეთებისა და ჟურნალების „მოამბის“, „ივერიის“ „ცისკრის“ და სხვ. კომპლექტები.

მდიდარია ბიბლიოთეკის ხელთნაწერი განყოფილება. განყოფილებაში ინახება ისეთი უნიკალური ხელთნაწერები როგორიცაა „დასტურლამალი“ (1729 წელი), „ვეფხის ტყაოსანი“ (XIX საუკუნის დასაწყისი), „ტროადის ომი“ (1817 წ.) „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (XIX საუკუნის პირველი ნახევარი) და სხვ.

მაგრამ მუზეუმს ბიბლიოთეკისა და სამკითხველოსათვის სათანადო შენობა არ გააჩნია და წიგნის უმდიდრესი ფონდი გამოუყენებელი რჩება.

ლექციები და მოხსენებები

16 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პრ., № 21) შესდგება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ პროფ. **ახვლედიანის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„მეტყველების წარმოშობა“.**

ბილეთების მიღება შეიძლება სალაროში დილის 12-დან 5 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე, აგრეთვე ყველა რაიპარტკაბინეტში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

16 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის ქ. № 5) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთის ფასი 1 მანეთი.

ბილეთი იყიდება ბერიას სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში დილის 9 საათიდან საღამოს 12 საათამდე, აგრეთვე კლუბის სალაროში საღამოს 5 საათიდან 11 საათამდე.

16 ნოემბერს, საღ. 8 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში პროფ. **ს. ჯანაშია** წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: **„საქართველო XI-XII საუკუნეში“.**

შესვლა თავისუფალია.

18 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) დანიშნულია აკად. **ი. ჯავახიშვილის** მოხსენება თემაზე: **„ქართული ფილოლოგიის და ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიის ამოცანები“.**

18 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პრ., № 21) შესდგება პროფესორ **ბუდილევის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ი. ბ. სტალინის წიგნი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“.**

ბილეთების მიღება შეიძლება სალაროში დილის 12-დან 5 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

შემთხვევები

სპეკულანტის დაპატიმრება

1 ნოემბერს, საღამოს, 26 კომუნარის სახელობის ბაღთან მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს უცნობი მოქალაქე, რომელიც საეჭვო პირად ეჩვენათ. დაპატიმრებულს, რომელსაც თან არავითარი საბუთი არა ჰქონდა, კალათში აღმოუჩინეს ქალის 50 წყვილი აბრეშუმის ჩულქი. მან დაირქვა ი. ი. კუზიჩევი, მაგრამ თავისი მისამართის დასახელებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. იმავე საღამოს გამორკვეულ იქნა, რომ ი. ი. კუზიჩევი „გლავსახარის“ დაცვის ყოფილი თანამშრომელია და ცხოვრობს ნავთლუღში. მისი ბინის გაჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა კიდევ 150 წყვილი აბრეშუმის ჩულქი. შემდგომი გამოძიებით გამოირკვა, რომ 1940 წ. სექტემბერში კუზიჩევს საკუთარი სურვილით თავი დაუნებებია „გლავსახარში“ სამსახურისათვის და სპეკულაცია დაუწყია. აღმოჩენილი 200 წყვილი ჩულქი მას უყიდნია მოსკოვში.

ფიზკულტურა და სპორტი

ქართული ჭიდაობა

დამთავრდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, გორის, თელავის, საგარეჯოს, ხაშურის და სხვა ქალაქებისა და რაიონების მოჭიდავეები.

შეჯიბრების შედეგად უმსუბუქეს წონაში პირველი ადგილი დაიკავა ვ. ასლანიშვილმა (თბილისი), ნახევრადმსუბუქში—გ. ბასიაშვილმა (თბილისი), მსუბუქში—გ. პაპოშვილმა (გურჯაანი), ნახევრადსაშუალოში — ა. შახნაზაროვმა (გორი), საშუალოში—ი. გოლაშვილმა (თბილისი), ნახევრადმძიმეში — ქ. გოგიაშვილმა (ქარელი) და მძიმე წონაში ა. მეკოკიშვილმა (თბილისი).

სულ შეჯიბრებაში 86 მოჭიდავე მონაწილეობდა.

კიევი — თბილისი

16 და 17 ნოემბერს ფიზკულტურის საქმეთა თბილისის კომიტეტი ატარებს ამხანაგურ შეხვედრას ველოსპორტში კიევისა და თბილისის გუნდებს შორის. კიევიდან მონაწილეობას მიიღებს 7 ველოსპორტსმენი.

ველოშეჯიბრების პროგრამაში შედის: გიტი, სასპრინტერო გარბენა, საგუნდო და სატაერო მარულა. შეჯიბრების დასაწყისი—16 ნოემბერს საღ. 6 ს. 30 წ., 17 ნოემბერს—დღის 12 საათზე.

თბილისიდან მონაწილეობას მიიღებენ: სპორტის ოსტატი ვ. სტეპანოვი, ხაბურზანია, გაგნიძე და სხვ.

საქართველოს პირველობა ფარიკაობაში

16-დან 19 ნოემბრამდე წითელი არმიის სახლის სასპორტო დარბაზში ტარდება შეჯიბრება ფარიკაობაში საქართველოს პირველობაზე.

უმაღლეს სასწავლებელთა შეჯიბრება

16 და 17 ნოემბერს ლენინის სახელობის სტადიონზე ტარდება უმაღლესი სასწავლებლების საქალაქო შეჯიბრება ხელჩართულ ბრძოლაში და დაბრკოლებათა 150-მეტრიანი ზოლის გადალახვაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტი, საქ. სას.-სამ. ინსტიტუტი, ფიზკულტურის ინსტიტუტი და სხვ.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს 3 დღის ვადაში გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო სექტორში ამხ. სერედასთან, ოთახი № 22. პავლე ირაკლის-ძე აბაშიძე, მარიამ თედორეს-ასული ბოგდანოვი, ანა ფროლის-ასული ვოლოკიტინა, ლეონიდ გრიგოლის-ძე გალინკოვი, გევორქ ავეტიკის-ძე გევორქიანი, ტატიანა ტიმოთეს-ასული დიმიტრიენკო, ივანე ლევანის-ძე კაკაშვილი, პეტრე ზაქარიას-ძე ლობანოვი, ანდრია ემელიანეს-ძე მოლოდცოვი, ქსენია თედორეს-ასული პრიამონოსოვა, მიხეილ თედორეს-ძე პეტროვი, ვერა ივანეს-ასული პეტროვა, პავლე პორფირეს-ძე რიაზანცევი, იაგორ ვასილის-ძე სურხანოვი, ნიკოლოზ მარტინის-ძე სიმაროვი, მარიამ ანტონის-ასული ტარასოვა, ვასილ მკრტიჩის-ძე ხალათიანი, რეზვან ხუდის-ძე უკაევი, ივანე სკუნიშის-ძე შონია, გიორგი პეტრეს-ძე ერაძე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: მუსკომედია — „სკაპენის ოინები“, **სანკულტურის ქართული თეატრი**—„კრაზანა“, **გრიბოედოვის სახელობის** — „ერნანი“, **სომხური დრამა**—„ნამუსი“.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „მუსიკალური ისტორია“, **დღისით** — „დუბროვსკი“, **ოქტომბერი** — „მუსიკალური ისტორია“, **დამკვრელი**—„მუსიკალური ისტორია“, **დღისით** — „დუნაიზე“, **კომკავშირელი** — „დიდი ვალსი“, **ლუქსემბურგის სახ.** — „მუსიკალური ისტორია“, **სპარტაკი** — „ნათელი გზა“, **26 კომ. სახ.**—„ნათელი გზა“, **კომინტერნი** — „ტორღუკელი თერძი“, **განთიადი** — „მშვენიერი ვასილისა“, **წითელი არმიის სახლი** — „საყვარელი ქალიშვილი“, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „კონცერტი ეკრანზე“, **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „ცამეტნი“, **ახალი ამბები** — „როგორ მართავს მფრინავი თვითმფრინავს“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საფეიქრო-სამკერვალო-სატრიკოტაჟო წარმოების კავშირის სისტემაში შემავალ არტელ „სარეწაო ტრიკოტაჟის“ დასკვნითი ბალანსი 1940 წ. 1 იანვრისათვის (ათას მან.)

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	77,3
2	ნედლეული და მასალა	17,0
3	პროდუქცია და საქონელი	128,3
4	მცირეფასიანი და სწრაფსაცვეთი ინვენტარი	7,8
5	ფულადი საშუალებანი	4,5
6	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	50,3
7	განყენებული საშუალებანი	73,1
	ბალანსი	358,3

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ფონდები	64,4
2	მრეგულ. მუხლები	0,6
3	გრძელვადიანი კრედიტები	21,6
4	ანგარიშსწორება	201,6
5	მოგება	70,1
	ბალანსი	358,3

მოგებისა და ზარალის ანგარიში

№№ რიგ.	ხარჯები და ზარალი	თანხა
1	სხვადასხვა ხარჯები და ზარალი	7,7
	სულ	7,7
	მოგება	70,1
	ბალანსი	77,8

№№ რიგ.	შემოსავალი და საერთო მოგება	თანხა
1	შემოსავალი რეალიზაციით	77,8
	სულ	77,8
	ბალანსი	77,8

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ.

გამგეობის თავმჯდომარე **ხ. ანდღულაძე.** მთ. ბუღჰალტერი **ი. გაბეჩავა.** 1134

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
16 ნოემბერს მე-2 აბ. მე-3 წარმ.
მთების გული
17 ნოემბერს მე-3 აბ. მე-3 წარმ.
კაკო ყაჩაღი
19 ნოემბერს მე-5 აბ. მე-3 წარმ.
ტრავიატა
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.
17 ნოემბერს დღის წარმოდგენა დაკლებულ ფასებში
მთების გული
დასაწყისი დღის 12 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
16 ნოემბერს
გიორგი სააკაძე
17 ნოემბერს
ბოგდან ხმელნიცკი
19 ნოემბერს
გიორგი სააკაძე
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
16 ნოემბერს
სერია 1 აბ. მე-3 წარმ.
სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი
17 ნოემბერს
სერია მე-13 აბ. მე-2 წარმ.
კოლმეურნის ქორწინება
19 ნოემბერს
გიორგი სააკაძე
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.
17 ნოემბერს დღის წარმოდგენა
გიორგი სააკაძე
დასაწყისი დღის 12 ს.

სახესტრადის საზამთრო თეატრი
პლეხანოვის 123, ტელ. 3-66-01, 3-55-24
16, 17 ნოემბერს
გასტროლები სახელმწიფო ჯაზ-ორკესტრისა
(ბელოსტოკი) 45 მსახიობის შემადგენლობით
ედდი როზნერის
ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 170

ექიმი მძინარიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა) ვენერიული და კანის ავადმყოფობა. ავადმყოფების მიღება დილით და საღამოთი, 8-დან 10 საათამდე. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 20, ბინა № 57. მე-4 შესავალი, მე-2 სართული 8732

მშობლები მერი ზაქარაია, ლეონტი გუგუშვილი, ძმა ლეომერი იუწყებიან, რომ 17/XI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
ნათელა გუგუშვილის
სამოქ. პანაშვიდი. 8823

მშობლები პიმენ, ანიკო, ძმა ლეო, ბებია აღათი, ბიძები კოტე, აკაკი, ბიცოლა კლავდია, ბიძაშვილი მიულერ გურგენიძეები იუწყებიან
ჯიმშერის
გარდაცვალებას. გამოსვენება 17/XI 4 ს. საბჭოს, 317. 8826

სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე კათედრის წევრს კატოს მისი ძმის
ალექსი ხუციშვილის
გარდაცვალების გამო. 8824

და დარიკო, ძმისწულები ოლია, ნატაშა, სიმონ, ივანე, რძალი ვერა ბებიაშვილები იუწყებიან
ალმასხან სიმონის-ძე ბებიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხესტაფონში 17/XI. 8841

მეუღლე ნატა, შვილები ვალიკო, ბესიკო, კოლია, გრეტა, ნადია, დები ლეონინე, დარია, რძლები ნადია, ვარვარა, სიძე დიმიტრი ფავლენიშვილი იუწყებიან
ალმასხან ბებიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/XI. 8841

მიხეილ თადეოზის-ძე მშველიძე მეუღლით მარიამით, შვილებით შალვათი, თადეოზით, ვლადიმე- [illegible] 17/XI 8835

[illegible] 8836

[illegible] 17/XI 8838

[illegible] ტრაცია, პარტიული ბიურო და ადგილკომი იუწყებიან ამავე კომისარიატის თანამშრომლის
კოტე ასანიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/XI, 7½ ს. რიყის ქ. 29 გამოსვენება 17/XI 4 ს. 8845

სონია და კონსტანტინე ყიფიანები შვილებით ვიქტორით, ნიკოლოზით, დარეჯანით და ნათესავებით იუწყებიან, რომ 17/XI 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია
ჟოზეფინა კონსტანტინეს-ასულ ყიფიანის
პანაშვიდი. 8833

შვილები ვარდო, ლიზა, დავით, ვასილ, არჩილ, მაზლები ვარლამ, იასონ მოსეშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ 17/XI 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
სასიკო გიორგის-ასულ მოსეშვილის
პანაშვიდი. 8843

მიშა, ნინო, შაქრო, თამარ, ზინა კენჭაშვილები, რძალი სიდონია ასანიშვილი იუწყებიან ბიძის
კოტე ასანიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/XI 7½ ს. გამოსვენება 17/XI რიყის 29. ვერის სასაფლაოზე 4½ ს.

მშობლები ნიკოლოზ, სალომე, დები ქსენია, თამარ, თინა, დესპინე, ძმა არჩილ, სიძეები ალექსანდრე, დონია იუწყებიან, რომ 17/XI 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ვახტანგ ნატროშვილის
პანაშვიდი. 8834

და ცუცა, სიძე კოლია მშობლებით, დით პოლინათი იუწყება
გოგუცა ლაჭავას
გარდაცვალებას. გამოსვენება 17/XI 5 ს. სადგურის, 31, კუკიის სასაფლაოზე. 8822

ნინო და შალვა სანებლიძეები, საშა, ვანო, სოფიო გოგოლაძეები იუწყებიან სიძის
კოტე ასანიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 17/XI, 3½ ს. რიყის, 29. 8842

დავით თადეოზის-ძე მშველიძე ცოლით მარიამით იუწყება რძლის
მარიამ ივანეს-ასულ მშველიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 8 ს. გამოსვენება 17/XI 2 ს. კოჯრის, 2, ვაკის სასაფლაოზე. 8839

ა/კ. ბერიას სახ. რკ. გზის სამმართველოს სალიანდაგო დარგის თანამშრომლები: თ. ნავროზაშვილი, ნ. კუპრაშვილი, ნ. ხოჯაშვილი მ. კევლიშვილი, ლ. დევდარიანი, რ. მჭედლიშვილი, თ. მამუკაშვილი, მ. კიკნაძე, ელიოზიშვილი, მ. კალანდია, ნ. მახარაძე თანაუგრძნობენ გ. ვარდოსანიძეს მისი მამის
ვლადიმერ ვარდოსანიძის
გარდაცვალების გამო.

შვილები გიორგი, ქეთო, მარო, რძალი თ. ფერაძე, სიძე კ. კალანდარიშვილი, შვილიშვილები მეგი, ლაურა იუწყებიან, რომ 17/XI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
არჩილ ალფეზის-ძე ბაჩეჩილაძის
პანაშვიდი. 8827

კახიანი, ხუციშვილი, ხინთიბიძე, ქყონია, გაპელაშვილი, მთავრიშვილი, გარსევანიშვილი, ჯობავა, ცხაკაია, გობრონიძე, კვარაცხელია, ანდრიაძე, ლორთქიფანიძე, გაბისკირია იუწყებიან მეგობრის
არტემ გიორგის-ძე გაგუნიას
გარდაცვალებას. 8829

დები კატო და თამარ იუწყებიან ძმის
ალექსი (ალე) ივანეს-ძე ხუციშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/XI 7 ს. გამოსვენება 17/XI 4 ს. საბჭოს, 167. 8831

ანდრო, მერი, როსტომ, კატო, ვანო, მარინე, სალომე შადურები იუწყებიან
ალექსი (ალე) ივანეს-ძე ხუციშვილის
გარდაცვალებას. 8832

შვილები ვერა, ცოცო, გიგი, ძმა პლატონ მხეიძე ოჯახით, სიძეები პეტრე კორძაია, პარმენ ხოშტარია, შალვა ჩოჩია შვილებით იუწყებიან
ფედოსი (ფაჩუ) დუტუს-ასულ ფალავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 ნოემბერს ქ. ფოთში ედნოვის 22.

არჩილ დათეშიძე, გედევან ასათიანი, დუტუ და რუსუდან ბოკერიები იუწყებიან ბებიას
კატო ბოკერიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. დაკრძალვა 17/XI 2 ს. ნიკოლაძის პირველი ჩიხი, 16.

ქმარი ალექსანდრე, შვილები ირაკლი, ნათელა, ლევან იუწყებიან, რომ 17 ნოემბერს, 1 საათზე კუკიის სასაფლაოზე შესდგება
მარო დავითის-ასულ ბოსტაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი.

მეგობრები გაბუნია, ბაქრაძე, კერესელიძე, მარგალიტაძე, ჩხიკვიშვილი, ბარკალაია თანაგრძნობას უცხადებენ მიხეილ ლაჭავას მისი დის
გოგუცა ლაჭავას
გარდაცვალების გამო. 8844

გამომცემლობა „კომუნისტის“ მუშაკთა კოლექტივი იუწყება ამავე კოლექტივის წევრის
მიხეილ ილიას-ძე ბაბილაშვილის
გარდაცვალებას.

მშობლები ქეთევან ქომეთიანი და რაჟდენ სირია შვილით ჯანიკოთი იუწყებიან, რომ 17/XI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
რუსიკო სირიას
სამოქალაქო პანაშვიდი. 8810

ბიძა ერემია, ბიცოლა თამარ, ბიძაშვილები ნაზიკო, ლეო, ბებო ერმონია დეკანოიძეები, ბიძა გრიშა, დეიდა ვერიჩკა გომართელები იუწყებიან
ციცინო ლამბაშიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა საჩხერეში 17/XI. 8818

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები ყაუხჩიშვილი, რობაქიძე, მასალკინა, წერეთელი, ჩიტოშვილი, ბაგრატიონი, ბერეკაშვილი, ჯაფარიძე, ნიქაბაძე, შ. ნოდია, ქაჯაია, ღვინჯილია იუწყებიან დ. წერეთლის მამის
ბესარიონ წერეთლის
გარდაცვალებას. 8819

მიხაკო მებუკე ცოლით ნეოთი, ძმით ნესტორით, დებით იულიათი და ნინით, შვილებით ლიათი, მედეათი და ვანოთი იუწყება
ეკატერინე მებუკე-ბოკერიას
გარდაცვალებას. 8821

მეუღლე ოლია, შვილები ნინო, ჟენია, თამარ, მიშა, სიძეები ანდრიაძე, მესხი, მაღლაკელიძე, ძმა ვარლამ იუწყებიან
ტრიფონ ბიჭიას-ძე კოკაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/XI ფოთში, ჯუღაშვილის, 28. 8825

გრიგოლია, ჯაკობია, შალვა, ვასო გოზალიშვილები, თოდუა, მეფარიშვილი, ქუთათელაძე, ნაკაშიძე, ოუშალიშვილი, მასხარაშვილი, ტოროშელიძე, ქიქოძე, ჰელიძე, ემუხვარი იუწყებიან დათიკო წერეთლის მამის
ბესარიონის
გარდაცვალებას. 8828

ვანო, კატო მანჯავიძეები შვილებით გიორგით, პავლეთი, ნუცათი, კოკოთი, რძლებით ვერათი, ვარათი, სიძით გიორგი ტატიშვილით იუწყება
ვლადიმერ იოსების-ძე ვარდოსანიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 17/XI 3 ს. ორჯონიკიძის, 80 8340

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს — 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის— 3—80—84, წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგისა და გამომუშავების 3—81—65, გამომცემლობის—51—81, სტამბის დირექტორის— 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 3785